# დროშა

ფასი 20 კაპ.

№ 8-9

31 მაისი, ორშაბათი
1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს დამატება



ნახ. ნიკო ფიროსმანიშვილის

ეტლი და საღამოს მოქეიფენი

1926 წ. 31 მაისი, ორშაბათი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ხელის მოწერა
1 წლით . . 5 მ. 50 კ.
6 თვით . . 3 მ.— კ.
3 თვით . . 1 მ. 70 კ.
ცალკე ნომ. ყველგან 20 კ.

განცხადების ფასი:
„დროშის“ მთ. გვერდი 150 მ.
½ გვერდი . . . 120 მ.
¼ „ . . . 65 მ.

მისამართი:
თბ., კამოს ქ. № 68 „კომუნისტის“ რედაქცია.

№ 8-9 | გაზეთ „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო—სალიტერატურო დამატება | № 8-9

## ბინადარი

მსუქანი მთვარე ხან ეხვევა ღრუბლის საბანში—
და მოსჩანს სახით გაბადრული ქალი საკანში
თალხის კაბაში—
ხან კი კალოზე გოგობიჭებს დასდევს კაშკაშით,
ცელქის თამაშით.

გლეხის ოჯახში ჩამჩით ხელში მოხუცს სალიას
ალარ სცალიან.

ქვაბი შეუდგავს.
დათუსფუსებს. ამზადებს ხარშოს;
თან მიყრუებულ ხმით უძახის ცუდრაჭა მაშოს.
ის კი ტოლებთან „ძერაბუას“ ბინდზე თამაშობს...
მასთანვე არის ფეხშიშველი ცელქი მარია.
კარგა ხანია.
მოხრილ დედაბერს ჩამჩით ხელში ალარ სცალიან:
—სუფრა გაშალე, შე პირშავ, გოგო მარია!
პირში ვაცია და აბრიკო მინდვრად არიან!
სად დამეკარგე?.

ხმელს პურს ქვით ამტვრევს. თან ჩიპჩიპებს: იმათ
შეარგე!
„სველ ლუკმას სჭამენ... გოგო! გოგო! სად დამეკარგე?!“
რძალი კუთხეში აკვანს არწევს... ძილის პირს უმღერს.

— „ნანა! ო ფისო! შვილო, ნანა! ძუძუ არ გშია!
მამა ბარშია!
პაპასთან ერთად ის სამკალშია!
მას უწევს ულელს...“
რძალი კუთხეში აკვანს არწევს, ძილის პირს უმღერს
ხვადი ეზოში გაწოლილა და უცხოს ულრენს...

სხვა ბავშვებს სძინავთ...
ძუძუთა კი კვლავ ჭირვეულობს.
ძაღლს ჯავრი მოსდის: „ჩემს სიფხიზლეს ეგ რად იგე-
მულობს?.“

— ა ფისო, ნანა! დაიძინე, კარგო დათუნა!
— სუფრა გაშალე, შე პირშავ, რამ დაგადუნა?
მაგრამ მარინე მოქანცულა...
თვალიც მილულა!

იკაზმებს გლეხი და სოფელი ლამით წყნარია.
დიდი ლამპარი მოწმენდილზე მხოლოდ მთვარეა.
მამლის ყივილზე გაეხვევა ღრუბლის საბანში.
როგორც პირიმზე თალხის კაბაში.
მზეთუნახავი ტყვეა საკანში.
ფხიზელს მურიას თვალს ახელს შუქის თამაში.

სანდრო შანშიაშვილი.

## სოფლისკენ

ვგრძნობ გაზაფხულზე წინაპარ გლეხთა
მე მოწოდებას დაგვიანებულს.
რკინის ქალაქი ვის არ გატეხდა,
და ეხლა ვეტრფი სოფელს ზმანებულს!

ფოთლების პირით მითვლის ბუნება:
რად დაივიწყე სიმინდის ყანა?
დაგმე სიყალბე და ფუფუნება,
მოდი, უმღერე მიწას ოსანა!

წყეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან, ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქოჩას—ჰალაკი.
ჩემი სამშობლო არის სოფელი.

და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს სასლებისას—ჭადარის ჩრდილი,
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი.

მომენატრება კერა და სხვენი.
აქედან ვუსმენ მოზარდ ზალახებს.
და ვეტრფი როგორც დაბმული ცხენი
ზამთარის შემდეგ შორ იალალებს.

ტყე მელოდება, როგორც საყდარი,
საზიარებლათ—სპეტაკი წყარო,
და ღრუბლებიან ცის ნატახტარი-
მთა უმაღლესი და სანეტარო.

ხშირად ვოცნებობ დაკარგულ ქოხზე
შორა გზას ვეტყვი ჩემ გულის ნადებს,
და თუ გავცვალე კალამი თოხზე,
მშობელი მიწა არ მიღალატებს.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

# მოჯამაგირე გაბო

სხვათა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო;
დილით ძროხაში მეზავენიდნენ,
საღამოს ღორისცვაო!

ხალხური.

1

კახეთის შემოდგომას სურდო შეჰყროდა, მთებზე ნისლი ჩამოწოლილიყო. არც ცივი გომბორი ჩანდა და არც კავკასიონის ქედები.

ალაზნის ველზე, ნაკთეშს გზაზე, ურმები ზანტად მიიზლაზნებოდენ.

შორიქანის ქარი დაჰბერავდა და გაცრილ ნამს მგზავრებს სახეზე აყრიდა.

ზოგს ნაბადში გახვეულს ურემზე ეძინა.

ქიაურიდან ალაზნის ხიდისკენ დანჯღრეული ტაჩკა მიგორავდა. ცალი თვალი გადაცრეხილიყო, ხოლო მეორე, სოლი მიმტვრეოდა და მუხის უბრალო შეშა წნელით ჰქონდა მიმაგრებული, რომ ფესო არ ჩატეხილიყო. ან კი საპანე დადებული როგორ მიგორავდა, ესეც საკვირველი იყო!

ტაჩკაზე ხუთმეტი წლის ყმაწვილი იჯდა, სახელად გაბო, ქიზიყელ ოჯახიშვილის ანჯიქო ბარამაშვილის მოჯამაგირე.

ნაბადი წამოესხა. ამოთართლული ფეხები უბეებზე გაეჩაჩხა და ზურგი დადებულს შეშისთვის მიეყუდებინა.

— ჰაჩუ! ჰაჩუ!

ხშირად იძახდა და თან მოქნილ სახრეს უტურტურებდა. ხანდახან დაჰკრავდა კიდეც.

გამხდარს და წელგაყვლეფილს ცხენს კისერი წაეგრძელებინა. ძარღვებდაჭიმული ცხენი მთელი თავის ძალღონით ეწეოდა. ტალახს მიარღვევდა.

იქ, სადაც ყოლფუნი (ე. ი. ურმის თვალისგან ჩაჭრილი და ჩაღრმავებული) დახვდებოდა, ტაჩკა ჩაზანყდებოდა, ცხენს გვერდზე მიჰკრავდა და სიქა გამოლეულს პირუტყვს წააბარბაცებდა.

ყოლფუნიდან თვალის ამოგორება ცხენს უძნელდებოდა.

ამ დროს ტაჩკაზე მჯდომი მოჯამაგირე გაბო თითხარდებოდა. აღარ იცოდა რა ექმნა. თან ულამდებოდა.

ცხენს ხან ეხვეწებოდა, ხან უჯავრდებოდა, აგინებდა, მაგრამ სიტყვა არ სჭრიდა.

მოთმინებიდან გამოსული მოიხსნიდა წამოსხმულს ნაბადს—და მერე როგორს ნაბადს?—მაღლა რომ აეწია და გაეხედა გაღმა კავკასიონის მთები, ლაგოდეხი და ზაქათალა გამოჩნდებოდა.

მოიხსნიდა ამ ნაბადს. ტაჩკაზე შეაგდებდა რცხილის სახრეს ცხენს ზურგზე დაამტვრევდა.

— ეგე, ხვეწნა არ გესმის, მუქარა გაიგე, შე უპატრონო!

ცხენი წვალობდა, მაგრამ საპანე მძიმე ედო და ვერ სძრავდა. ცოტა რომ დაედო, შინ გაუჯავრდებოდენ: ტყეში მაგის გულისათვის წახველ და მოსცდიო?

ცხენი ცახცახებდა. დაღლილობის გამო მუხლები უკანკალებდა და მუცელზე ოფლი ჩამოსდიოდა.

ხან და ხან ხვნეშით გაბოს გადმოხედავდა. ამოიოხრებდა. თითქოს აგრძნობინებდა:

— ყმაწვილო! ჩვენ ორივენი მოჯამაგირეები ვართ, შენ მეტყველი და მე კი უტყვი. ჩვენი პატრონი შენ ჯამაგირს მაინც გაძლევს და მე კი ჭამაზე ვემსახურები! ნეტა ჭამა მაინც ხეირიანი მქონდეს! მაშინ ამ საპანის წაღებაც არ გამიძნელდებოდა. ცარიელ ხმელ თივას მაძღრისად არც კი მიყრის. მეორე ცხენს კი—ჩალას—სულ ქერს უყრის, რა არის, რომ შეჯდეს, ასახელოს. რატომ გვერდზე არ მომაბით? რა ღონე უნდა მქონდეს მშიერს?

შენ კი გამხმარ წელზე სახრეს მამტვრევ! ხომ ჰხედავ, აღარ შემიძლიან. აბა, შენ აიკიდე მშიერმა, რასაც ვერ დასძრავ და მე კიდევ სახრეს დაგიშენ.

გაბო დაღონდა. თან გულში ფიქრობდა:

— მართლაც-და რა ჰქნას საბრალო რახვშა ბრაგვაძემ?—ცხენს რახვი ბრაგვაძე ერქვა, ეს სახელი გაბომ დაარქვა, რადგან ერთ დროს უზარმაზარი, მაღალი და მკერდიანი ცხენი იყო.

— რა ჰქნას საბრალო რახვშამ? ქერს აღარ აჭმევს პატრონი. სულ ჩალას სთავაზობს, კარგად გამოირიყოსო. თივასაც ნაწვიმარს და აყროლებულს მიუყრი ხოლმე! რა ღონე უნდა ჰქონდეს?

გაბო უფრო ჩაფიქრდა. ბრაზი მოსდიოდა.

შემდეგ ტაჩკაზე აეიდა და შეშა დაბლა თხრილში გადაყარა.

— უნდა გადმოვამხო. რაც უნდა მითხრან. ცხენს ხომ ვერ მოვკლავ! მეც ორ ღერს მივიტან! რა ჩემი ბრალია, თუ ცხენს ვერ დაუძრავს? ასეთს ტალახში მშიერმა ცხენმა რა საპანე უნდა ზიდოს? მე ხომ ვერ ავიკიდებ?

გადმოყარა შეშა, შემდეგ დაიქვალთა, ტალახში ჩავარდნილს თვალს შეუჯდა და იმდენს ცხენი არ ეწეოდა, რამდენსაც გაბო.

ორი ღერი სახლამდის ძლივს მიაგორა.

პატრონი ანჯიქო გადმოდგა აივანზე და თავზე კაკალი დაამტვრია:

— შე ასეთო! შე ისეთო! ორი დღე მაგ ორ ღერზე მოსცდი? კაცმა ლუკმა არ უნდა გაჭამოს.

გაუჯავრდებოდა ანჯიქო და ორიოდე სილაქსაც გაწნავდა.

ანჯიქოს პატარა ათი წლის ბავში მამას მიჰბაძავდა და გაბოს შოლტს გაარტყავდა.

არავინ უჯერებდა, რომ ცხენი კუდით ასაწევი გაუხდა და რაც მოიტანა, ისიც თავის მეცადინეობით და წვალებით მოიტანა.

2

დაღლილ გაბოს არ მოასვენებდენ.

ხელში გამხმარს პურს მისცემდენ და წყალზე გააგდებდენ.

უშველებელი კოკა ხვნეშით მოჰქონდა.

გზაზედ ვერც დაისვენებდა. ჯერ ერთი: ეშინოდა, ვაი თუ ჩამოვდგა და აწევა აღარავინ მიშველოსო და მეორეც: ვაი თუ ჩამოღების დროს გამიტყდესო.

მიდიოდა წაკვანტილი და მიიხვნეშოდა.

ხელის და კისრის ძარღვები დაჭიმული ჰქონდა.

ერთხელ, ამნაირ შემთხვევის დროს, ფეხი ქვას წამოჰკრა. წაბარბაცდა. კოკას მაინც უფრთხილდებოდა, წაბარბაცდა. კოკას მაინც უფრთხილდებოდა, ხელიდან არ გავარდნოდა.

და არც გავარდებოდა, რომ წყალი არ გადმოღვრილიყო და ხელი არ დასველებოდა.

ატყობდა, კოკის ყური ხელიდან უსხლტებოდა.

ჩქარობდა კედელს მიახლოვებოდა, რომ კოკა ზედ შეედგა, მაგრამ სიჩქარის გამო არ დამივარდესო, კედელს შეაჯახა და კოკამ ჩახანი მოიღო.

ამოიზუზნებლა ბატის ჭუკივით.

იდგა ფრთებ დამტვრეული, გაშტერებული და ხელში შერჩენილს კოკის ყურს უაზროდ დასცქეროდა.

— დაგეფსოს პატრონი! რა ეშმაკმა და ქაჯმა გაგტეხა? რა ფუყე გამოსდექ? ცოტას ვერ დამაცლიდი?

კიდევ დიდხანს იდგა. და გატეხილ კოკას უმზერდა. ნატეხებს ხელში აიღებდა და ისევ გადააგდებდა.



ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა

სახლში რომ მოვიდა, პატრონმა ჯერ აგინა, მაგრამ როცა გაბომ თავის გამართლება დაიწყო, სილაქები მოხვდა და სიმწვავისაგან სახე აელანძა.

დიდის ხმით არ იტირებდა. თავს ჩაღუნავდა, მოიკუპებოდა და ბოლოს კაკალი ცრემლი ჩამოვარდებოდა.

შემდეგ უფრო დიდს კოკას მისცემდენ და ისევ წყალზე გაავდებდენ.

— აბა, თუ ბიჭი ხარ და ეხლავ აქ არ გასჩნდები... ბარემ არ იყო!

გაოფლილი მირბოდა და მორბოდა. რაც უნდა მალე მოსულიყო, მაინც მადლობელი არ დარჩებოდენ და თუ ცემას გადარჩებოდა, საყვედურს მაინც ეტყოდენ.

3

არც ზამთრობით და არც ზაფხულობით მოსვენება არ ჰქონდა.

ერთი შეღავათი მისი ის იყო, რომ სადმე თუ გაჰგზავნიდენ: ან ბალახის მოსატანად, ან მინდორში მუშებისათვის საგზლის წასაღებად—ასეთს შორს მანძილზე შეკაზმულს ვირს გაატანდენ და ტვირთს ვირს აჰკიდებდენ.

ზოგჯერ მასხარაობით იტყოდენ: გაბო თვითონ კარგი ვირია, ვირზე ლონიერი—ვირს რად აწვალებთ, „თვითონ მაგას აჰკიდეთო!

ზევრჯელ აუკიდნიათ კიდეც სავსე ხურჯუნი! გაბოს ვირს გაატანდენ და ეტყოდენ:

— ზედ არ შეჯდე, საპანე მეტი მოუვა, მაკეა გაბერწდებაო.

პირველ ხანებში მართლაც—და ვირზე არ ჯდებოდა. მაგრამ შემდეგ ვიღაც მგზავრმა უთხრა:

— ბიჭო, ფეხშიშველი მისდევ. ბარემ შესჯდეო!

— წელი მოსწყდებაო, ასე მითხრეს და ამიკრძალეს!

— რის წელი! ვირი ცხენზე გამძლეა.

შეაგულიანა გაბო და შესვა.

ვირზე ჯდომა ესიამოვნა. თუმცა აქეთ-იქით იხედებოდა: პატრონმა არ დამინახოსო.

— ბიჭო, რა კარგი ყოფილა—სთქვა გულში. ამის შემდეგ, როცა კი გაიხელებდა და პატრონს თვალს მოაშორებდა, მაშინვე შეჯდებოდა.

— გასწი, ჩემო ქურანა! იმდენ თიკას დაგიყრი, რომ ცხენიც კი შურით კვდებოდეს.

ერთხელ პატრონს ამბავი მოუტანეს: შენი მოჯამაგირე ვირს მიარბენდაო!

სახლში რომ მოვიდა, კარგად მისილაქეს. მაგრამ რაკი ერთხელ ვირზე ჯდომა გაუტკბა—აღარ იშლიდა და უმალ შესკუპდებოდა.

— რატომ ქალამნებს არ მიყიდის? ფეხშიშველამ რომდის ვიარო? ფეხები ეკლით ამევსო. იტყოდა გაბო და ერთის ხელის დაკვრით ვირს მოახტებოდა, ფეხით ულოტინებდა და ვირიც ხალისიანად მითოხარიკობდა.

უბნის ბიჭებმა იცოდნენ, გაბო როდის გამოივლიდა.

ერთხელ ორღობის მოსახვევში ჩაუსაფრდენ. გაბო ვირზე არხეინად იჯდა და ფეხებს მოაქნევდა. თან „ვარალეს“ მღეროდა.

როცა მოსახვევს მოუახლოვდა, ჩასაფრებული ბიჭი უცბად გამოხტა: ჰაფუო!

ვირი დაფრთხა. გვერდზე გახტა. გაბომ თავი ველარ შეიმაგრა და უცბად გვერდზე თავდაყირა გადმოვარდა.

მძიმედ არაფერი დაუშავდა, მაგრამ შუბლზე ვაშლის ოდენა კოპი დააჯდა.

აგინა უბნის ბიჭები. ზოგს გამოეკიდა, მაგრამ ისევ ვირს დაუბრუნდა. შუბლზე ნიშანი დაეტყო.

რომ ჰკითხავენ რამ გიყოფო, რა პასუხს გასცემს?

სჩანს ვირზე მჯდარა. აბა, სხვა რა გასამართლებელ საბუთს იტყოდა?

— ჩემმა მზემ ვენახში ფურცელს შევახალე ცემის შიშით იფიცავდა გაბო, მაგრამ ცემა მაინც არ ასცდებოდა.

4

ღამე გვიან აძინებდენ.

დილით ქათმები არ იყვნენ ჩამომსხდარნი, გაბო ფეხზე იყო.

პატრონი რომ გარედ გამოვიდოდა, გომი დახვეტილი უნდა დახვედროდა, ცხენი დაურებული და ქერდაყრილი, ქათმები მოვლილი, ძროხა მოწველილი და ეზო დაგვილი. ძაღლისთვის სალაფავი უნდა მიეცა, წყალი დაესხა და შეშაც დაეჭრა.

ციბრუტივით ტრიალებდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ კმაყოფილი მაინც არავინ რჩებოდა.

— ბიჭო, ზარმაცი ხარ! დაუდევარი! ყეყეჩი! კაცმა ყურით უნდა გათრიოს, პირში ჩაგიდოს! უჯიშო ხარ, ფეთხუმი—უნდა დაგითხოვო!

ასეთი მუქარა უფრო სამტკივნო იყო, რომ მართლა დაითხოვოს, სად უნდა წავიდეს, ვის მიეკედლოს? ახლომახლო სოფლებში მოჯამაგირე ვისაც უნდოდა, ყველას დაჭერილი ჰყავდა, შორი გზა კი გაბომ არ იცოდა.

ობოლი იყო. სახლში მხოლოდ მოხუცი დედა ჰყავდა. ისიც ნახევრად დასნეულებული. გაბოს მარჯვენას შეჰყურებდა, მისი მონაგრებულით ირჩენდა თავს.

რა ჰქონდა გაბოს ჯამაგირი?

პატრონს უნდა ტანთ ჩაეცვა, ქალამანი ეყიდნა და წლიურად თორმეტი ფუთი ხორბალი მიეცა: უკვე ორ წელზე მეტია ანჯიქო ბარამაშვილთან მსახურობს და მოხუც დედას ჯამაგირის მეხუთედიც არ წაუღია.

უკვე ორ წელზე მეტია ანტიქო ბარამაშვილთან მსახურობს და მოხუც დედას ჯამაგირის მეხუთედიც არ წაუღია.

დედაბერი რამდენჯერ მოსულა ყავარჯენით ხელში, ამოკვანტილი, მაგრამ ანჯიქო დღეს-ხვალიობით ატყუებდა და ცარიელს ისტუმრებდა.

პირიქით მოხუც დედას უსაყვედურებდა:

— შენი ბიჭი ნადირია, ზარმაცი! დღეში სამი თონის პური ვერ აძღობს, გაკეთების შნო კი არაფრის აქვს. სჭამს და სძინავს—ლორმუცელაა! თუ გინდა, წაიყვა, მოგვაშორე.

— ეხლა ვის კარს მივაყენო! არა, აგრემც მამაუფალი შეგეწევა! დარჩეს! მე იოლად წავალ! ან წინდას მოვქსოვ, ან მეზობელს მარგვლას ვუშველი. შემდეგ ერთბაშად მომეცი!

ყავარჯენზე დაყრდნობილი დედაბერი ცარიელ ხელით მოსული, ისევ ცარიელ ხელით ბრუნდებოდა.

ერთხელ ანჯიქოს შეეხვეწა შვილი რომ ფეხშიშველი და ჩამოგლეჯილი დაინახა:

— აგრემც გაიხარებ, აგრემც შერჩები შენს ცოლშვილს, ჩააცვით. მადლია. ნახმარი რამე გექნებათ!

გაბოს მართლა ჩააცმევდნენ დაგლეჯილს, ძველს ფარაჯას, რომლის სახელოებს და კალთებს თუ არ აიკეცავდა, დაბლა დაათრევდა.

სასაცილო სანახავი იყო.

მეზობლის ბიჭები აუყუელდებოდნენ:

— აუ აუ! ბამბულა მოსულა! დაგლეჯილს ფლახვებს (ნაცვამ წალებს) წამოაცმევდნენ და დააფრატუნებდა:

— ბრახ! ბრუხ! ბრახ! ბრუხ!

პატრონს ძილს უფრთხობდა, მაგრამ ვერას ეუბნებოდა, გარდა იმისა, რომ გარედ დაიხადე და შინ ისე შემოდიო.

მის დაუღალავ ტრიალის და მუშაობის გამო ეს ძველი ტანისამოსიც ორ დღეს არ ჰყოფნიდა. უმალ [illegible] გლიჯებოდა და შემოეძარცვებოდა.

— მხეცი ხარ! ნადირი! არაფერი გიძლებს, ეტყოდნენ და თან კისერში წაუსვამდნენ ხან დიასახლისი და ხან პატრონი.

5

გაბო ტყეში! გაბო წისქვილში! გაბო ვენახში! გაბო სამკალში თუ სათიბში! გაბო შინ და გარედ! მთელი ოჯახის საქმეს მარტო აკეთებდა!

ერთ დღეს რაღაც დაემართა.

დილით პატრონმა აივნიდან გადმოიხედა, გაბო არსად სჩანდა, დაუძახა.

ხმას არ სცემდა.

— მიწამ ჩაგნთქა, თუ ცამ პირი გიყო!

კიდევ დაუძახა და ბოსელიდან სუსტი ხმა მოესმა, თითქოს ვილაც კრუსუნებდა.

— რა დაგემართა, ბიჭო!?

ჩავიდა დაბლა და ნახა: კუთხეში მოკუნტულიყო, საცოდავად ხელები მუხლებზე შემოეხვია და „ვაი დედას" იძახოდა.

რა მოხდა? რაზედ იყო გაბო გამწარებული? დააშავა რამ თუ დედა მოუკვდა? რად სტიროდა ასე გაბმით?

— ბიჭო, რა დაგემართა?

გაბო ხმას არ იღებდა.

პატრონი ბოსელში შევიდა, დახედა. ფეხის თითები ერთმანეთს შეზელოდა. ერთი დაბლა მოწყვეტილივით ეკიდა.

თურმე ცხენს ნალიანი ფეხი დაედგა, როცა ქერს უყრიდა და შიშველი თითები დაეჩქლიროთნა.

სიმწარისაგან გული წასვლოდა. მერე მოსულიყო ბული კუთხეში მიმჯდარიყო და ჩუმად ბზუოდა.

ამ დროს მივიდა პატრონი იმ განზრახვით, რომ ერთი მაგრა მიეზილნა.

მაგრამ ნამტირალევი რომ დაინახა, გარედ გამოიყვანა.

— არა გიშავს-რა! გაგივლის!

მოშუშეს ქატო, დააყარეს და ძონძებით შეუხვიეს.

ორ დღეს დიასახლისი გასაჭირში იყო. ყველაფერი აკლდა: წყალი, შეშა. პურის გამოცხობაც ამ დღეებში მოუნდათ. მცხობელთან თვითონ წავიდა. ფიჩხი თვითონ დაკუწა. ვარცლის გამოტანა უშველა. ქშინავდა და მსუქან მკერდს იღელავდა.

პურიც გამოაცხეს. საჭირო იყო ვენახში საგზალი მუშებისთვის გაეგზავნათ. ვინ წაუღებდა? ანჯიქო მხართეძოზე იყო წამოწოლილი და ჩიბუხს აბოლებდა. ადგილიდან არ იძროდა.

მეტი ჩარა არ იყო, უნდა თავი შეეწუხებინა.

შეკაზა ცხენი, ხურჯინი გადაჰკიდა. იგინებოდა: ერთი თხა ვიშოვნე და ისიც... მ... გამომადგაო!

ვენახში ფეხის გადადგმა ეზარებოდა, თუმცა ლეინოს მადიანად ყლურწავდა.

დიასახლისი და ანჯიქო ტრიალებდნენ, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ.

იმათმა თვალებმა ვერც ეხლა დაინახეს თუ გაბო რამდენ საქმეს უკეთებდათ!

მესამე დღეს ისევ ფეხშიშველი გაბო აამუშავეს.

კოჭლობდა, სტკიოდა, მაგრამ მაინც საქმეს აკეთებდა.

ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ:

— ეგრე მოუვა ზარმაცს და გაუგონარს. შენ მარტო ჭამის შნო გაქვს, სხვა არაფრის!

მაინც გაბოს ამტყუნებდნენ.

6

ერთხელ ოჯახში თეთრტარა დანა დაიკარგა. ზევრი ეძებეს, ვერ იპოვნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა.კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა



რუსავსტორგის პავილიონი



პავილიონი გერმანელი ფირმების ექსპონატებით



მთავარი პავილიონი ზავოსტორგის



ფარდული სასოფლო მანქანების

ანჯიქო ჯავრობდა: სად ეშმაკებში უნდა დაკარგულიყო? ექვსი აბაზი მიმიცია. იმის გულისთვის ყაჩაღი ხომ არ მოვიდოდა?..

მაშ ვინ მოიპარა?

ყვირილით იქაურობას სძრავდა.

ცოლი ანუგეშებდა: იქნებ სადმე დაგრჩა, მოიფიქრე...

— მე ხომ შენსავით თავის მავიერ გოგრა არ მაბია არ მახსოვდეს? სად უნდა დამრჩენოდა? დღეს დილით ხელში მეჭირა! უთუოდ მოპარულია!..

— მაშ ვინ მოიპარავდა? დღეს ჩვენსას ძეხორციელს არ გაუვლია. ჩვენი ბიჭუნაც ბებიასთან არის.

მთელი სახლი რამდენჯერმე გადააბრუნეს. წალოდან ლოგინიც გადმოყარეს. საცალო და ტომრები დაბღერტეს. ეძებეს ტახტის ქვეშ. ეძებეს ბაღჩაში. შეშებთან. ეზოში. მარანში. სახლის გარშემო უარეს და „საჭირო ადგილთანაც“ მივიდნენ. მაგრამ დანა ვერ იპოვნეს. ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ვერაფერი გაიგეს.

გაბოს დაუძახეს.

უნდა იერიში მასზე მიეტანათ. ქმარმა უთხრა ცოლს: შენ მე დამაცადე, წინამსწარა ნუ ხარ. მე გამოვტეხ! შავს დღეს დავაყრი.

გაბო გამოცხადდა.

ანჯიქო მიუახლოვდა და ალერსით უთხრა:

— ბიჭო, გაბო! ის ჩემი დანა რომ არ წაგელო, სახრის წალდით ვერ გასხეპავდი?

— დანა როდის წავიღე? ჰკითხა გაბომ.

— აი წეღან! შენ არ სთქვი, სახრეს გავსხეპავ და ისევ მალე მოვიტანო. რა უყავ? რატომ არ მოიტანე?

— არა ჩემმა მზემ... გაკვირვებით სთქვა გაბომ.

— ბიჭო, მე ხომ დაგინახე, როცა მიგქონდა. აი, ამ ჯიბეზე არ ჩაიარე?..

— დედა არ მომიკვდეს, დანა თვალითაც არ მინახავს.

სიტყვა არც კი დაათავებინა, მოულოდნელად ერთი ისეთი სილაქო სტკიცა, რომ ყბები გვერდზე მოეცხირა. გაბომ თავი იდლიაში ჩამალა.

— ვაი დედავ! ვაი ვაი! რა ვქნა, მე არ ამიღია—და!

— შე არამზადავ, ქურდობაც დაიწყე? ეგლა გაკლდა? წადი, დანა ეხლავ აქ მოიტა, თორემ შიმშილით სულს ამოგართმევ! თოკით ჩამოგკიდებ!

მოხუცი დედაც დაიბარეს, ევებ გაბო მან გამოსტეხოსო, მაგრამ ამაოდ! გაბო უარს ამბობდა. ან რაში უნდა გამოტეხილიყო, როცა დანა თვალით არ უნახავს. გაბო პატარა ბავშვივით სტიროდა და დედას შესჩიოდა:

— დედი, ჩემმა მზემ, შენმა სიცოცხლემ, დანა მე არ ამიღია, ტყუილად მაბრალებენ!..

ერთი კვირის განმავლობაში გაბოს სიცოცხლე ჩაუმწარეს: „დანა და დანაო“!

გაბო ფიცულობდა, მაგრამ არ უჯერებდნენ. სადილზე თუ ვახშამზე წამოსძახებდნენ:

— ქურდო, როდის მოიტან დანასაო!

გაბო ხმას არ იღებდა. ან რა ხმა უნდა ამოეღო, როცა ცამდის მართალი იყო და ტყუილად თუ დაიბრალებდა, ხომ უნდა ნამდვილად დანა გამოეჩინა?

ერთ დღეს გახარებულ დიასახლისს მარნიდან მსხვილი თეძოები ძლივს ამოჰქონდა და თან იძახოდა:

— დანა! დანა!

ყველანი მისკენ გარბოდნენ. მეზობლებიც კი მოგროვდნენ.

— სად იპოვნე, ადამიანო! ეკითხებოდა ანჯიქო!

— ყველის გუდაში!

ქმარმა წარბები შეიჭმუხნა. დაფიქრდა. მოაგონდა, რომ იმ დღეს ყველი მოსჭრა და თითზე იკბინა:

— დალახვროს ღმერთმა! რატომ გუმანს ვერ მოველ? სულ დამავიწყდა. დანას რომ ვეძებდით, ყველის ნაჭერი ხელში მეჭირა. მართალია: ქურდმა ერთი ცოდო ქნა, დამკარგველმა ათასი!

მათზე უფრო ძალიან დანის პოვნა გაბოს გაუხარდა. იმას აღარ ჩიოდა, რომ იმ დანის გულისთვის რამდენჯერმე მიტყიპეს და უსადილოთაც დასტოვეს,—კმაყოფილი იყო, რომ დარწმუნდნენ მის ალალმართლობაში.

7

ჩვეულებრივ გაბო ვენახში გაგზავნეს და ნამგალი გაატანეს. თან დაუბარეს:

— ბლომად გათიბე. ნამგალი ვაზებს არ მოახვედრო. ცხენს აძოვე და ბინდისას რომ წამოხვიდე, ორი მოზრდილი კონა წამოიღე!

შეაღო ვენახის კარი. ცხენს მოხადა. ლაგამი წამოჰყარა და გრძელი თოკით მიუშვა ყალთაღზე. (ვენახში ცარიელსა და დარჩენილს ადგილზე).

თვითონ საქმეს შეუდგა. ვაზებზე შემდგარს ალაფას და ძურწას სთიბავდა. თან ცხენს მიხედავდა, ვენახში არ გადასულიყო და ნამსხმოიარე ვაზები არ გაეფუჭებინა.

შუადღემდე თითქმის ნახევარი ვენახი გამოსთიბა. მეტად იოჯებოდა, რომ პატრონს ერთხელ მაინც ეთქვა: ყოჩაღ, კარგად გიმუშავნია!

გაბოს ენატრებოდა ალერსიანი სიტყვა.

იქნებ დღეს დაუფასონ და მოუწონონ.

ხუმრობა ხომ არ არის, სამი კაცის საქმე მან ერთმა გააკეთა და ისიც შუადღემდე! უეჭველად ეტყვიან მადლობას.

ჩამოცხა. ცხენი აღარ სძოვდა. ბუზები ეხვეოდნენ და თავს აქნევდა.

მოიყვანა და გრილოში კაკლის ქვეშ დააბა. თვითონაც ხურჯინიდან პური და წყალი ამოიღო. პური დაასველა და ჭამა დაუწყო. ნიორიც ჰქონდა, მაგრამ არ სჭამდა, მუშაობის დროს წყალს მომაწყურებსო.

პურის ჭამა რომ გაათავა, მცირე ხანს გადაწვა. იქვე დიდი ლოდი ეგდო და თავი მისდო. ნუშებზე და ბალებზე ჭრიჭინები გაბმულ „შიქასტას" ამბობდნენ. ჰაერი შეგუბებულიყო. ფრინველებს ფრთები აეწიათ და ქაქანებდნენ.

დაღლილს გაბოს გადაწოლა ესიამოვნა. ფეხები გაბლართა. საყელო გაიხსნა. სხეულს ასვენებდა.

თვალებზე ძილი დააწვა.

რამდენჯერმე შეეცადა თვალები აეხილნა. ძილს შეებრძოლა. სახე მოისრისა. მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. ღამე-ნატეხს და დილით ადრე ამდგარს ღრმად ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა. ტვინის სიზმრებს ხედავდა. ხან კი ისევ შფოთავდა. ალბად ანჯიქო თუ სცემდა.

როცა გამოეღვიძა, გიჟივით წამოხტა. მზე გომბორის მთებს ეფარებოდა. თითქმის ბინდდებოდა. გრილი ნიავი ჰქროდა.

— ვაიმე, ვაიმე!! წამოიძახა გაბომ. ეს უპატრონო, როგორი დამძინებია! როოვეე! ცხენიც აშვებულა, ის სამგლე!

ცხენს დაუწყო ძებნა. ცხენი კი არსად ჩანდა. ვენახი აირბინ-ჩაირბინა. ამ სირბილის დროს შეამჩნია იუარეზელი მიმტვრეული სარი. ისერში დაბლა ეყარა.

— მე ხომ შინ აღარ მიმესვლება! შე უპატრონო, სად წასულხარ?

გალაღებული ცხენი, რომელზედაც მხოლოდ ანჯიქო შეჯდებოდა და დღეობაში გაისეირნებდა სხვის ვენახში გადასულიყო და ვაზებისთვის არც იქ დაეყარნა ხეირი. მერქნებიც კი მიელეწ-მოელეწნა. აქა-იქ სძოვდა და ბალახს არჩევდა.

გაბომ მაშინვე შენიშნა, თოკი ყელზე აღარ ება.

— ვიღაცას აუშვია! თოკი მოუპარავს... ვაიმე! ვაიმე! ჟინ მიმტრო, იმ... იმ...

წაავლო ფაფარზე ხელი და თავიაანთ ვენახში ცარიელ ადგილზე გადმოიყვანა.

— შე უპატრონო! ვენახში რომ არ შეხვიდე, ნაპირზე ბალახი გამოილია?

ბრაზისგან გული ყელში ებრჯინებოდა. მზად იყო ტირილი ამოეშვა.

ეძება თოკი, ვერ იპოვნა.

— აუშვებდა ვინმე მამაძაღლი. ფუი, ახე როგორ დამეძინა? ჩემმა მზემ, ვცდილობდი, სულ ვფრთხილობდი, მაგრამ დავიღალე... ეხლა რაღა მეშველება... ნეტა მარტო ცემას გადავურჩებოდე და... ვინ თავმკვდარი დღე და ღამ ფხიზლად არ იქნება!

— ეს როგორ იკადრეს, ნამძინარევს თოკი მომპარეს! ფუიი!

თოკის დაკარგვას უფრო ბრაზობდა. ვინ აუშვებდა? იქნებ მეველემ აუშვა. მეველე ბალღი ხომ არ იყო!?

ერთხანად დააპირა მეველეს დაეუძახებო, მაგრამ გადაიფიქრა.

— მეველე არ აუშვებდა. მეველე წანახდენს ნახავს... ქვეყანას შემიყრის... მე ხომ ანჯიქოს ცოცხალი ვერ გადავურჩები.

ითითხარა. იტრიალა დაჭრილ ტახივით, გარშემო რომ ძაღლები შემოესევიან. თან ბინდდებოდა. კიდევ კარგა, მთვარე კაშკაშებდა. კიდევ ჩაუარა ვაზებს. შემდეგ ნამგლით ფურცლის ნორჩი ყლორტები ჩამოკაფა. აამხრალა. ბალახის კონები შეჰკრა. სახელდახელოდ ცხენის ავშარაც გააკეთა. აჰკიდა მსუბუქი კონები, რამდენსაც კი მხრალი იდგნობდა და შინ წამოვიდა.

მოდის, მაგრამ ვაი იმ წამოსვლას! რა უთხრას? თავი რით იმართლოს? თოკი სად და როგორ დაკარგა? დღეს იმედი ჰქონდა, კარგი გარჯილობისთვის შეაქებდნენ, და დახე იღბალს, სულ უკუღმა დატრიალდა!

ჯერ ეზოში არც კი შესულიყო, შორიდანვე შესტირა გარედ გამოსულ პატრონს და დიასახლისს, რომლებიც ალბად გაბოს ელოდებოდნენ.

ანჯიქოს ხელში სახრე ეჭირა.

— თოკი დავკარგე! ვიღაცამ მომპარა.

— შე გასანაშავო, შე წინწალ დავსილო! შე მაწადასაყრელო, გეძინა? გეძინა განა?

გაჰკიოდა დიასახლისი.

პატრონმა უკვე სახრე დაემზადებინა და თუნდაც თოკი არ დაეკარგნა, დაგვიანების გამო მაინც სცემდა.

ცხენიდან ჩამოსვლა არც კი დააცადეს, ჯერ ანჯიქომ მიბერტყა და შემდეგ დიასახლისმა ჩქმენტით მკლავები დაულურჯა.

იმ ღამეს ვახშამი არ აჭამეს. მთელი ჯამაგირი მანეთიან თოკში გამოუბარეს.

გაბოს მოხუცი დედა მეორე დღეს გულჩამწყდარი ბრუნდებოდა თავის წასაქცევად მიწოლილ ქოხში. თან ამბობდა.

— ვიშ, ვიშ! დამიდგეს თვალები! როდის იმედი უნდა მქონდეს? ჩემი ბიჭი არ იყო ურიგო, რა დაემართა?

მეზობლებში დედაბერმა ერთი პური ისესხა და იმით გადაიარა. ხვალ ვისმე უშველის. მშიერი არ მოკვდება!

ამის შემდეგ გაბო უფრო გაბუჯითდა. ერთიანად ძალღონე მოიკრიფა. ხელებიდან ცეცხლი სცვიოდა. ეგებ პატრონის გული როგორმე მოეგო და თოკის ამბავი დაევიწყებინა.

8

ერთხელ გაბო სხვა მეზობელ სოფელში გაგზავნეს ღვინის გადმოსატანად.

თავის „ოროლა" ურემიც თან ჰყავდა. იმ სოფელში საბჭოების არჩევნები გათავებულიყო და არჩევნების შემდეგ ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ხალხს ესაუბრებოდა.

განუმარტავდა ღარიბ გლეხების მდგომარეობას.

განსაკუთრებით დაქირავებულ მოჯამაგირეებზე ჰქონდა ლაპარაკი. იმათ ჯამაგირზე და დღიურს ხელფას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1926 წ. 1 მაისი თბილისში



(საქ. ფოტო-კორესპ.)

ფიცის მიღება ქართველ ახალგაზრდა წითელ-არმიელების მიერ, მთავრობის წევრები ესალმებიან დემონსტრაციებს, ჯარის და პიონერთა დემონსტრაცია.

ზე. დასვენების დღეებზე და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობაზე.

გაბომ ყური ხეზე მოაბა. ამ ყრილობაზე მიეიდა იმ განზრახვით, რომ ეგებ ვისგანაც ღვინო უნდა წაეღო, აქ შეხვედებოდა.

დიდხანს ყური უგდო იმ ახალგაზრდა ყმაწვილის ლაპარაკს. ენა არ უბორძიკდებოდა. თითქმის გაბოზე ცოტათ დიდი თუ იქნებოდა. და ეს უფრო აკვირვებდა, რომ ასე „წყალივით" ლაპარაკობდა.

გაბომ ყურები აცქვიტა, როცა მოჯამაგირეებს შეეხო.

ყველაფერი კენჭებივით აუკრეფია. თითქოს ჩემს გულში იჯდეს. ალბად ეგეც წინად მოჯამაგირე იქნებოდა! ფიქრობდა გაბო.

კიდევ უფრო გაფაციცებით უსმენდა:

ყმაწვილი ლაპარაკობდა:

— კულაკები მუდამ ცდილობდენ მოჯამაგირეს და დაქირავებულ მუშას მეტს გამორჩნენ. დღე და ღამე ამუშაონ. ხელფასს კი ნაკლებს აძლევენ. ან სულ არ აძლევენ. ხან პატრონი წლიურს მოჯამაგირეს ჯამაგირს ხუთავს და ათას ხრიკებს უდებს. ან დროზე არ აძლევს. კვირა-უქმე დღეს ამუშავებენ, ზედმეტ ხელფასს კი არ აძლევენ. ყოველივე ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ სასტიკად აკრძალულია პატრონისგან ცემა. შეურაცყოფა შეუძლიან განასაჩივრონ. უნდა ჩაეწეროთ კავშირში. დამზღვევ კასაში. ვინც არ ეწერება, თავის თავს ღუპავს.

— ვისზეა ლაპარაკი? იკითხა გაბომ.

— კულაკებზე და მოჯამაგირეებზე—იყო პასუხი.

„კულაკი" ვერ გაიგო, რა ხალხი იყო. უნდოდა კიდევ ეკითხნა, მაგრამ შერცხვა. განა თვითონ კი არ იცოდა, რაც იყო ულაყი?

— ეი ძმობილო, ეს ის ხალხია, რომლებსაც დესეტინობით ვენახი აქვთ, ათასობით ცხვარი, შებმული ურემი, გუთანი... გაიგე?

— მაგეთი ხომ ანჯიქოა. ჩემი პატრონი.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უგვიანდებოდა.

გაბომ მოლაპარაკის სახე დაიხსომა. მოდიოდა, და ისევ იმ ყმაწვილ კაცზე ფიქრობდა:

— ემაგდენი როგორ ისწავლა? ნეტა ერთი შემახვედრა და ჩემი გასაჭირი მაამბობინა!

კიდევ ჩაფიქრდა და მარტო მიმავალმა გიჟივით წამოიძახა:

— თუ კიდევ მცემა, უეჭველად მაგასთან ვუჩივლებ, დედა არ მომიკვდეს!

ერთხელ გაბო ვენახში ჰბარავდა.

ანჯიქოც იქ იყო, მხოლოდ ვენახის ბოლოში.

გაბო დაიღალა და მუხლი ჩახარა. პატრონი სწორედ ამ დროს მოვიდა. ბიჭს შეუყვირა:

— ცუღლუტო! ზარმაცო! თვალი, რომ მოგაშორე მხართეძოზე წამოსწექ?

ცემა მოუნდომა და მუქარით მისკენ გაექანა.

გაბომ ბარს ხელი წამოავლო და განზე გახტა.

თითქოს თვითონაც მოემზადა. ყმაწვილი კაცი მკლავში ძალას ჰგრძნობდა. ანჯიქო კი სუსტი იყო და კოჭლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ყმაწვილის ლაპარაკიც ეხლა მოაგონდა „ულაყი“... „ცემა აკრძალულია“!

— არ მომეკარო, თორემ... მე უპატრონო არ გეგონო! მყავანან ამხანაგები...

ასეთის სითამამის გამო, რაიც ჯერ გაბოს არას დროს გამოჩენია, ანჯიქო სახტად დარჩა. გაბო ველარ იცნო. ნუ თუ ეს ის გაბოა, რომელსაც თავში უთაქუნებდნენ და ტირილსაც კი ვერ ჰბედავდა?

— ჰოი შე არამზადავ, სთქვა ანჯიქომ და სარი მოგლიჯა. გაბო გაიქცა. პატრონი უკან დაედევნა.

გაბომ თეგს ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. იმ დღეს გაბოს რბილი ადგილები დალურჯებული ჰქონდა.

პირდაპირ ნაცნობ ვაჟის საძებნელად წავიდა იმ სოფელში აღარ დახედა. „ნეტა სად იქნება“? ნატრობს გაბო.

იკითხა და მიასწავლეს.

სილნაღში იპოვნა. აუარ-ჩაუარა. თვალით ზომავდა. მივიდეს, როგორ მივიდეს! საიდან დაიწყოს, რა უთხრას!

დიდი ყოყმანის შემდეგ მივიდა და პირდაპირ ხელი გაუშვირა. იცოდა, კარგ ხალხს და ნაცნობებს ხელს ართმევდნენ, გაბომაც მხოლოდ ამიტომ გაუშვირა ხელი.

— ეე ბიჭო! ვერ მიცნობ? იმ დღეს ვაქარში რომ ლაპარაკობდი და მე ყურს გიგდებდი!

— რა ვიცი, რამდენი მისმენდა! მაინც რა გინდა, ამხანაგო?

გაბომ მოუშვა გუდას და ჰანტასავით დააყარა. უამბო თავგადასავალი.

— აი, თუ არა გჯერა,—მოურიდებლად მოუბრუნდა და დახეული შალვარი აუწია,—

სულ დალურჯებული მაქვს!

ყმაწვილი კაცი გულდასმით უსმენდა. შემდეგ პატრონის გვარი და სახელი გამოჰკითხა.:

— ანჯიქო ბარამაშვილია!

— რომელ სოფლიდან?

— მაჩხაანიდან!

— რამდენი ხანია, რაც მასთან მოჯამაგირეთ ხარ?

— ორ წელიწად ნახევარი!

— რა გაქვს ჯამაგირი?

— ჯამაგირი თოკში დამხუთა.

— როგორ თუ თოკში?

გაბომ კიდევ დაიწყო თავიდან, როგორ სცემდნენ, დღე და ღამ როგორ სტანჯავდნენ, როგორ დახუთეს ჯამაგირი, რის გამო მოხუცი დედა შიმშილით უკვდებოდა.

— კავშირში ჩაწერილი ხარ? ან დაზღვეული ხარ?

— მე ეგენი არ გამეგება! ეხლა ჩამწერეთ—რა! ყმაწვილმა კაცმა გაამხნევა.

— ეხლა, წადი! ისევ შენს პატრონთან მიდი. ხვალ შენც და შენს პატრონსაც აქ დავიბარებთ!

მოდიოდა გაბო მხიარული, ანჯიქოს ემუქრებოდა:

— დედას ვუტირებ! აბა კიდევ მცემოს, ის კოჭლი—ჩაუხა! „ხულაკი!“, ხულიგანი!

ანჯიქო და მისი მეუღლე გაბოს დიდხანს ელოდებოდნენ.

ცოლი უსაყვედურებდა: ადამიანო, ისეთი რა შეამთხვიე იმ ბიჭს, რომ სახლში აღარ მოდის.

— რა უნდა შევამთხვიო, ადამიანო! ერთი-ორი წამოვკარ, სხვა რა იქნებოდა?

— ეგ, რომ აღარ მოდის?

— სად ჯანაბას წავა?

— არ იცი, რა დროა? რომ ღმერთი გაუწყრეს, წავიდეს და გვიჩივლოს ჩვენ გაგვამტყუნებენ.

ლოს, ჩვენ თუნდაც ცამდის მართლებიც ვიყვნეთ, მაინც გაგვამტყუნებენ.

— ჩემს ფეხებს გაამტყუნებენ! ენა მაქვს და ლაპარაკი ვიცი.

ასეთს საუბარში იყვნენ ცოლ-ქმარნი, გაბომ ეზოს კარი შემოაღო.

ხმა არ გასცეს.

— სად ჯანაბას უნდა წავიდეს? წავა და მე ვიცი, სხვაგან ვირდებს გაუშლიან.

ბუზღუნებდა ანჯიქო.

ცოლი ეწინააღმდეგებოდა:

— შენ რაში გენაღვლება—რა? სანამ სხვას იშოვნიდე, მე ვიცი წყალს შენ მოიტან, შეშას შენ დასჭრი, ვენახს შენ ჩაჰხედავ, ცხენებს შენ მოუვლი, ან ქათმებს მიხედავ? სულ მე დამაწვება.

— გაჩუმდი ნუ ამოიდგი ენა! ხიხართ და სჰამთ, სხვას რას აკეთებთ? შე ოჯახ დასაქცევო. ბოჭკასავით განზე, რომ მისდიხარ, გაანძრიე ხელი, ეგებ ლეში დაჰყარო? სახლი ინძრევა, შენ რომ დაბაჯბაჯებ!

ვახშამი გაშალეს. ანჯიქომ უშველებელი ჯამი ლობიო მიიდგა. ხელადა ღვინო გამოსწრუტა „ღმერთო შეშველეო“ და მიწვა.

წუთის შემდეგ ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ ტახტზე მწოლიარე ბავში გამოაღვიძა.

— გადაბრუნდი შე დავსილო, ზაქი დაგიკარგავს, მაგოდენას ყროყინებ?

დიასახლისმა სუფრა აალაგა და გაბოს გადასძახა:

— ამოდი და წაიღე ვახშამი.

გაბომ ხმა არ გასცა.

წუთის შემდეგ ყველას ეძინა.

მხოლოდ გაბო ფხიზლობდა.

— ხვალ მოვლენ, დაიბარებენ... ვაი თუ მერე უფრო ცუდი დღე დამადგეს?

გაბოს გვიან დაეძინა. ნაცემი სტკიოდა და ხშირად ილვიძებდა.

გაბო ადრე ადგა, მაგრამ ხელი არაფერს ახლო. არც ცხენებს მიხედა, არც შინაურს ფრინველს, არც ეზო დაგავა და არც წყალი მოიტანა.

ანჯიქომ აივანზე დაირახრახა. ჩაახველა და ნაფურთხი გასტყორცნა.

გაუკვირდა, რომ მთელა არაფერს ეტყობოდა. ცხენები ხიხვინებდნენ, ვირი სლუყსლუყებდა: მზე დამიყარეო, ქათმები, ინდაურები და ბატები საკენკს დაჩვეულები ერთ ადგილს ტრიალებდნენ. ყაყანებდნენ, კისკისებდნენ, ქათმები წრიავ-წრიავს იძახოდნენ.

ანჯიქო დაბლა ჩამოვიდა და შინაური ფრინველი გარს შემოეხვია: ეგონათ საკენკს გვიყრისო. ძაღლი ფეხებში ედებოდა, ეგონა სალაფავს მაძლევსო. ცხენებმა ხიხვინს უმატეს. ვირმაც შეჰყროყინა.

შეხედა გაბოს. ის კედელთან ატუზულიყო და პირს არიდებდა.

— ბიჭო, რას ასტუღზუხარ? რატომ არ მიგიხედნია აქაურობისთვის?

— ეხლა თქვენ მიხედეთ ეგ! წაიბუტბუტა გაბომ.

— რაებს მიჰქარავ, ბიჭო?

გაბომ ხმა არ გასცა. შვინდის ჯოხი აიღო და წასვლა დააპირა.

სად მიშავდები?

გაბო გულში ამბობდა: მე არსადაც არ მივშავდები, მოიცა მოვიდნენ... მაშინ გაიგებ!

გაბო გავიდა, ეზოს გარეთ და ერთს კუნძზე ჩამოჯდა გაბუტული და შუბლ შეკრული.

ანჯიქო შინვე შეტრიალდა, ცოლს შეატყობინა. ცოლსა და ქმარს რაღაც ჩხუბი მოუვიდათ. ლაპარაკი გარკვევით არ ისმოდა. მაგრამ მიხახვედრი იყო დავა ჰქონდათ იმაზე, თუ ვის მიეხედნა კარმიდამოსთვის.

ცოლი გაჰკიოდა:

— შე ოჯახ აშენებულო, ცხენს ქერი მე დავუყარო? წყალზე მე წავიყვანო?

მზემ კარგად წამოიწია. გაბო ისევ იმ კუნძზე იჯდა. თანდათან მოუსვენრობა ეტყობოდა.

— ვაი თუ კაცი არ გამოგზავნონ, ჩივილმა ტყუილად ჩაიაროს. ჩვენს სოფელშიაც ხომ არის ტელეფონი, მაშ რატომ ჩვენებს მაინც არ ატყობინებენ?

ასეთ ფიქრებში იყო გაბო, რომ შორს დაინახა ცხენოსანი მილიციონერი. პირდაპირ ანჯიქოს სახლისკენ გამოსწია. უკან ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე და პარტიული რწმუნებული მოსდევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდნენ. ანჯიქო გამოიძახეს. ანჯიქო ზანტად იძვრებოდა. განგებ ძალლს უჯავრდებოდა.

— რა გნებავთ?

— დაუყოვნებლივ უნდა გამოსცხადდე შენის მოჯამაგირით მაზრის შრომის დამზღვევ ინსპექტორთან.

აი მოწყენილობაც! უწყება გადასცა. ანჯიქო ყველაფერს მიხვდა.

— აბა დაიძარ! უთხრა ადგილობრივმა ალმასკომმა და მილიციონერს პაკეტი გადასცა.

ზემოდან გაბოს დედა მოხუსხუსობდა.

— შვილო. რა დაგიშავეთ ჩემმა შვილმა? იქნებ სიბავშვით მოუვიდა? შეიბრალეთ მოხუცი დედა!

გაბო იღიმებოდა და დედას ეუბნებოდა: შენ შინ წადი! არაფერია!

ერთი ცხენოსანი და ორი ქვეითი შეუდგნენ სილნაღის აღმართს. თანდათან სიმაღლეზე ადიოდნენ. ქედელს გადახედეს. აღმოსავლეთით ბოლბე დარჩათ. გალავნის ნანგრევებით შემოზღუდულ სიღნაღს დაჰყურებდნენ. და-



საბჭოთა საქონლის ღირსების გამომრკვევმა კომისიამ ამხ. ტროცკის თავმჯდომარეობით, აღმოაჩინა უვარგისი საქონელი:

**ჩანგალი** რომლითაც ჭამა არ შეიძლება, **ნამგალი** რომელიც არ სთიბავს და **ფართლეული** რომელიც პირველ ხმარებასთანვე იხევა.

ამ პაკეტით ჩვენებას აძლევდა ანჯიქოს შესახებ ადგილობრივი კომუჯრედი.

— რა მოხდა სასწრაფო! მობრძანდით, გაჰენაწილდეთ! ან მწარე მიირთვით, ან ტკბილი!

თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს.

მცირე ხანს დაელოდენ. სანამ ანჯიქო საგარეო ტანსაცმელს ჩაიცვამდა და ვერცხლის ქამარ ხანჯალს შემოირტყავდა.

გაბოს დააეიწყდა ტკივილები და სიხარულით ფეხზე ღარ იდგა.

ბლა ალაზნის ველი ყანებით და ვენახებით აჭრელებულიყო. შორს ალაზანი მიიკლაკნებოდა, როგორც ვერცხლის ზურგიანი გველეშაპი.

ანჯიქო თავის სიცოცხლეში სიღნაღში მხოლოდ სამჯერ ყოფილა, თუმცა მისი სოფელი სულ რამოდენიმე ვერსის დაშორებით მდებარეობდა. სხვა დროსაც იგი იძულებით, მოუყვანიათ: ან სასამართლოში დასაკითხავად. ან ბეგარის გამო. ყოველთვის შინ მშვიდობით დაბრუნებულა და ეხლაც იმედი აქვს თავი არ წააგოს. მოხერხებული კაცია. იცის კარგად: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“.

მილიციონერმა ორივენი შრომის დამზღვევ ინსპექტორს წარუდგინა. ეს იყო საშუალო და ჩასმული აგებულობის, მრგვალი სახის, თავზე თუ რამ თმა შერჩენოდა, ისიც გასჭაღარავებოდა.

— აბა რას იტყვი ბარამაშვილო?

— მე რა უნდა ვსთქვა? ჯერი თქვენზეა.

— რად სჩაგრავ ამ ყმაწვილ კაცს?

— შვილივით ვინახავ!

რაზე ეტყობა? ჩაუცმელ დაუხურავი, შიშველ ტიტველი, მშიერ-მწყურვალი და უმნიშვნელო ჯამაგირიც დაგიხუთნია!

ანჯიქომ ერთხანად თავი ჩაღუნა. გუნებაში პასუხს ისაზრებდა; გრძნობდა საქმის გამწვავება ხეირს არ დააყრიდა და ისევ „ჩათრევას, ჩაყოლვა ამჯობინა". ენა დაიტკბო და მოახსენა:

ტანისამოსი დაუცვდა ახალს ვუყიდი, შიმშილი რაში ეტყობა? ლოყებზე თურაშაულს მიუგავს? ჯამაგირს განგებ ვუჭერდი, რომ შეეგროვებინა და რამეში გამოეყენებინა! აი, რაც ეკუთვნის ჩემგან, ინებოს, თქვენი ჭირიმეთ! დამავალეთ!

— პირობა რამე გიწერიათ?

— არა შენი ჭირიმე! მე რათ მინდა პირობა? სიტყვის კაცი ვარ! განა უარს ვამბობ? მე უარი ვსთქვა, განა თავი მომძულებია ზოგიერთებივით? თუნდა ჩემი მთელი საცხოვრებელი მაგ ყმაწვილს მისცეთ, თქვენ წინააღმდეგ. აბა, რა მეთქმის? ჯერ ერთი, რომ მე არაფარზე „ატკაზს" არ ვეუბნები, ეხლა თქვენმა კეთილ გონიერებამ განსაჯოს და რასაც დამაკისრებთ, მე თანახმა ვარ!

ვინც კი ანჯიქოს კარგად იცნობდა, მხოლოდ მას არ გაუკვირდებოდა საქმის ასე-რიგად შეტრიალება.

ანჯიქო კი სადაც საჭირო იყო, ასე მსჯელობდა: ყველაფრის დაკარგვას და ციხეში ჯდომას, სჯობია ერთი დავკარგო! ოთხმოცდა ცხრამეტი ხომ მე დამრჩებაო.

ანჯიქო ღიმილით და ხარხარით მეორე ოთახში გაიყვანეს, იქ იანგარიშეს გაბოს ორი წლის და ნახევრის ჯამაგირი, ამ ხნის განმავლობაში რაც პირობაზე ტანსაცმელი არ უყიდია, მიიღეს მხედველობაში, რომ გაბო ნაცემი იყო, რაიც კანონით სასტიკად იყო აკრძალული, ყველაფერი ეს ფულზე დააყენეს და შესდგა სულ ოცდა ხუთი თუმანი.

როდესაც ანჯიქოს გამოუცხადეს, ჯერ თვალებში დაახიტა, მერე ხელოვნურად გადაიხარხარა და სთქვა: ცხვარს გავყიდი, ზოგს ცხენს, ზოგს ღვინოს და მოგიშორებ!

—ჩვენს წინაშე უნდა დასდო ხელწერილი, რომ ამ ყმაწვილს ერთი კვირის განმავლობაში ჩააბარებ! უთხრა მოანგარიშემ.

— თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი, ინებეთ! სად მოგიწეროთ? რაზე მოგიწეროთ?

ანჯიქო ხელს აწერდა და თან ხუმრობდა:

— კაცო ციმბირში ხომ არ მასახლებთ, ერთი წამიკითხეთ, რაზედ ვაწერ ხელს?

ანჯიქოს წაუკითხეს. და ხელიც მოაწერა. როდესაც წამოსვლა დააპირა ერთმა უთხრა: ჯარიმაც უნდა გადაიხადო, რომ მოჯამაგირე გყავდა და არ დააზღვევიე.

ანჯიქოს გაგებული ჰქონდა, რომ კავშირის წევრი უნდა იყოს, ვინც თავს იზღვევს. ნაძალადევ სიცილით უთხრა:

— თქვე დალოცვილებო, მე თუ უსწავლელმა კაცმა არ ვიცოდი, რომ უნდა დამეზღვევნა, რატომ თქვენ არ იზრუნეთ? არ ცოდნა, არ ცოდოა...

დიდის სალამ-ქალამით გამოემშვიდობა და წამოვიდა. სახეზე გაჯავრება არ ეტყობოდა, სახე თითქოს უცინოდა, მაგრამ გულში რას ფიქრობდა. ეს მხოლოდ ანჯიქომ იცოდა. ჩავიდა იქვე სარდაფში და „ანაგის" ღვინო მოითხოვა.

ერთი კვირა არც კი გაიყვანა, ანჯიქომ ჩააბარა, მხოლოდ ხუთი თუმანი დააკლდა.

— მოსაშორებელი ჭირი, კაცმა უნდა მოიშოროს!— ამბობდა გუნებაში.

ორივე მხარის შეთანხმებით იმ ხუთს თუმანშიც „ტაჩკა და რახვი ბრაგვაძე" მისცა.

გაბომ ამ ფულით პატარა ფიცრის სახლი ჩაადგა. დედას კაბა უყიდა და შეუდგა საკუთარს ცხოვრებას.

მას დღესაც ნახავთ ჭიათურის გზაზე, ტაჩკით ხან ქირას ეზიდება და ხან კი, შეშას—გასაყიდათ.

ხანდრო შანშიაშვილი.



მუსოლინი



ვიოლეტა გიბსონი, რომელმაც ცხვირში დახჭრა მუსოლინი.

# ჩემს მშობლებს

დედა! მე მახსოვს შენი ზღაპრები:
(ახლა მიწა ღრღნის საყვარელ შენ ძვლებს)
— შვილო გიყვარდეს ჯვრები, საყდრები
და გწამდეს ღმერთი ყველაფრის შემძლე.
მეტყოდი ხშირად, როცა მე შენთან
დავბრუნდებოდი დახეულ შარვლით.
მთელი დღეები ვრბოდი ბავშვებთან
და ვითვრებოდი ტყეთა შრიალით.
მახსოვს რომ მძიმედ მოვარდა ქარი;
ძველი სოფელი დაეცა კვნესით.
— მივლენ ნაპირთან გემები ჩქარა
და მთელს მსოფლიოს ყუმბარებს ვესვრით.
ყიჟინა. ღელვა. შიში. ცრემლები.
ვიღაც მოადგენს დროშას ალიანს.
დადიან სოფლად არმიელები
და უხარიათ გლეხებს ძალიან.
ტყეში წაიქცა წიფელი ხმელი
ისევ დაქროდა ძლიერი ქარი...
და კომკავშირმა ღონიერ ხელით
ღვთის ყველა სახლებს ჩამოხსნა ჯვარი.
ბევრს არ მოსწონდა ახალი ხანა,
(თითქოს სიცივეს გრძნობდენ ბალები)
— ააწიოკეს მშვიდი ქვეყანა,
ზურგზე შეგვაჯდენ სოფლის ბალღები.
ასე ამბობდენ მოხუცნი ჩვენში
და მწუხარებით აქნევდენ თავებს.
მათ ბანს აძლევდა ბებია ხვნეშით
იწმენდდა კაბით ცრემლიან თვალებს.
მხიბლავს დროშების ტყვები ხშირი;
მივყვები ფიქრებს სხვებისთვის უჩვევს.
მე ჩამოვირბენ როგორც ჯიბგირი
გადამწვანებულ თბილისის ქუჩებს.
გამოვიქცევი სოფლის ნისლიდან
შემხვდავს მამა ნაწყენი ძლიერ.
რადგან სოფელში მე თბილისიდან
ვბრუნდები მუდამ ხელ-ცარიელი.
— შვილო მითხარი რა გემართება,
ასე ღარიბათ რისთვის მოხველი.
დღეს ყველა შენი ამხანაგები
დადიან ხალხში დიდრონ პორტფელით.
შვილო! მე გული დარდით მევსება
ისინი მშობლებს თავზე ევლება.
მიამბობს შემდეგ, თუ როგორ სხვები
დადგენ სკოლებში მასწავლებლებათ.
არ მაცლის სიტყვას, რომ რამე უთხრა,
მიჩვენებს მის ძველ დაქექილ ჩოხას.
— გავყიდე შვილო ჩვენი თეთრი თხა,
გავყიდე კიდევ მეწველი ძროხა.
ილება ამ დროს ეზოს ჭიშკარი,
და რწმუნებული მამას შესძახებს:
წამოდით ყველამ! დღეს კრება არის
სოფლის უმწეო გზების შესახებ.

დავით კობიძე.

# მზის სირცხვილი

ასე მგონია, რომ მზე ცოდვას გამოისყიდის,
ან და სირცხვილით გაწითლდება უფრო საგრძნობათ,
მაგრამ ბავშვივით თავწასული წინ მიდგას იგი
და სანანულიც არ ემჩნევა მის გარეგნობას...
— მზეო, ბრალსა გდებთ და მოგელის ალბათ სასჯელი,
არ გაიფიქრო უსამართლოდ ცილსა გწამებდეთ,
არაფერია ეხლა შენთვის გადასარჩენი,
დახუჭე თვალი, მოგვისმინე მზიურ წამებით...
„იყო ქვეყანა გადაშლილი რკინის კალთებით
და შენს სხივებს ქვეშ წყვდიადივით მაიც ბნელოდა,
ტყდებოდა ზურგი წელში მუდამ გასამართავი
და შენ კი მაინც უსულდგმულოდ გადმოსცქეროდი...
დრომ დედამიწა გააშავა გამურულ ოფლით
და თოკებივით გადასჭიმა ძარღვი და კუნთი,
თვალებს დაკაწრულს სიბნელისგან და თვალებს მოღლილს
ჩამქრალ სურვილის და სინათლის ეფარა ხუნდი...
როგორც მეურმე მთვარე ღამეს ისე მისდევდა,
დილის ლოდინში საათებად გადმომლევარული.
სადაც წყურვილი გათენების სახეს იხევდა
და სადაც რწმენა იყო ხანჯლად შემოპარული...
გადასცქეროდი სიბოროტეს ისე გულგრილად,
რომ ოდნავ გამთბარ სხივებსაც-კი არ იმეტებდი.
რიჟრაჟ დილაზე ღამდებოდა ისევე დილა
და დილაზევე იყო ღამე შეუწყვეტელი.
დღეს ალბათ ხედავ. ჩამოვსწყვიტეთ ცას ვარსკვლავები,
ჩამქრალ ნახშირის მედუზებად რომ გაკრულიყო.
მოულოდნელათ ამ მახეში შენც კი გაები,
გავიმასპინძლდეთ ცის დიდებას ასე ურიგოთ...
ნუ გეწყინება, გვსურს აენთო ეხლა სხვა გვარად,
რომ ყველას გულში სიხარულის სხივად ჩაეშვა,
უნდა ქვეყანა ყურმოჭრილი გადააგვარო,
თუ გსურს ისევე თავისუფლად ცაში აგიშვათ...
ეხლა შენ უნდა გადაიქცე მზევე უკიპაჟათ,
რომ ქვეყნის შუბლზე გადვიაროთ აღმოსავლეთით.
ჩამოვაცალოთ დიდ ქალაქებს ოქროს ფარაჯა
და ქარს ვაჩუქოთ, ეს სიმდიდრე, ეს ნადავლები...
შენ ეხლა ტყვე ხარ, ხომ ტკბილია თავისუფლება?..
სჩანს სირცხვილითაც გაწითლდები ისე ძლიერ რომ...
ნუ გეშინია, წინ გავიგდოთ ბევრი სფერო,
წავიდეთ ერთად და დროშებით გადავიაროთ.

ე. პოლუმორდვინოვი.

# ზ ა ჰ ე ს ი

შენ ხარ სამშობლოში თვალებ დაბინდული,
ვიცი ტკივილები გულში გიფენია,
სხვები გიძლევიან:—მოდი, დამიბრუნდი,
მე კი ელექტრონზე გიწერ სიმფონიას.
ნეტავ სიყვარული გულს არ მოსტკიოდა,
ნეტავ უშენობა აღარ მატირებდეს;
გარედ მტრედებია ცივი, ებინადრო,—
ზავეს უცქერიან მტკვარის ნაპირებზე.
დღეს თუ ზღაპარია მთვარის განათება,—
მთვარე სამშობლოში შენ რას დაგიცდიდა!
ღრუბლებს მიდენიდა ციურ ბატებივით,
წვიმა შრიალებდა ღამის სიცივიდან...
ნეტავ გადმეგდო თვალი აზიაზე,
ნეტავ გიტიროდე ცა რომ დაიხრილია;
ველარ გაექცევი გზაზე, ნაწვიმარზე,
მაღლით ვარსკვლავების თეთრი ნახირია.
შენ თუ მეგობრობას ღამე გპირდებოდა,—
ეხლა სამშობლოში აღარ გაგაცვლებს;
გული გენათება მტკვარი ნაპირიდან,
გული გაგიშენებს სანთლის პლანტაციებს..
ნეტავ მიმღეროდე:—მოდი, დამიბრუნდი,
ნეტავ სიყვარული გულს რად უფონია!
რატომ მელანდები თვალებ დაბინდული?
რატომ ელექტრონზე გიწერ სიმფონიას?

ვლადიმერ ჟურული.

# ინგლისის მუშათა გაფიცვის ბელადები



**ამხ. კუკი**
ინგლისის სამთამადნო მუშათა ბელადი



**ამხ. პიუ**
ინგლისის პროფკავშირთა თავჯდომარე



**ამხ. პერსელი**
გაფიცვის კომიტეტის თავჯდომარე ლონდონში



**ამხ. ბრომლეი**
მემანქანეთა გაერთიანებულ კავშირის გენერალური მდივანი



**ამხ. ჰერბერტ სმიტი**
ინგლისის სამთამადნო მუშაი კავშირის თავჯდომარე

# ხელოვნება ცხოვრებისათვის

ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ხელოვნება გამოჰყო ადამიანის ყოველდღიურობიდან. ის ზეცაში გადაიტანა. ხელოვნების მსახურნი კი წმინდა ქურუმებად იწამა და მათ „თავისუფალ პროფესიის" ხალხი უწოდა. სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი თვალთმაქცობა იყო და არის.

„თავისუფალ პროფესიის" ხალხი ისეთივე მორჩილი მონა შეიქნა არსებულ წყობილების და მისი ნების, როგორც სხვა დანარჩენი. მათი ნაწარმოები მხოლოდ მაშინ ჰპოულობს ფასს და უზრუნველყოფს ავტორის არსებობას როცა ამ ნაწარმოებს აზრი და სული არსებულ წყობილების გამაგრებას ემსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებულია თავი მიანებოს ხელოვნებას, ან სიმშილით სიკვდილი არჩიოს.

ამიტომ ხელოვნება ყოველთვის გაბატონებულ კლასების ყურმოჭრილი ყმა იყო და მის გემოვნებას ემსახურებოდა[1].

ხელოვნების ნაწარმოებზე ისე, როგორც საქონელზე, ბაზარმა თავისი დაღი დაასვა. ის ჩვეულებრივ სპეკულიაციის საგნად გადაიქცა და მოაშორა ფართე მასას.

ვინ არ იცის, რომ გამომცემელნი, თეატრების დირექტორები და ჟურნალ-გაზეთების მესაკუთრეთა მთელი

---

[1] ცალთვალა მეფის და მხატვრის იგავი, სადაც მხატვარს სასტიკი სასჯელი მოელოდა, თუ მეფის ბრმა თვალს ის სურათზე გამოიყვანდა, რის გამოც ის იძულებული გახდა, მეფე თოფით ხელში დაეხატა, თავისი საფუძველი აქვს.

# რუსეთის პროლეტარული პოეზია

(თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის)

დემიან ბედნი

## მუშა ქალს

ვარ ხშირად მკაცრი, დაღრეჯილი,
მაგრამ, რომ მწვანდებ სევდის წუთები,
მახსოვს სახელი ნასათუთები:
ეს შენ ხარ, დაო, ნაზი, მშრომელი.
და მაშინ, როცა მტერი დროებით,
დაგვაფიქრებდა მეტ ურდოებით,
თავდავიწყებით-როგორც ჩირაღი,
ჩვენ წინ მიგქონდა შენ ბაირაღი.
როცა გვდევნიდა ნისლთა გრაგანი,
დაბნელდებოდა სხივი ციური,
როგორი რწმენით და ურაგანით
ისმოდა შენი სიტყვა მზიური!

თუ განსაცდელის მოგველის სენი,
და მტრებისაგან სასჯელი ავი,
ძვირფასო დაო! მაღალი რწმენით
შენ გაგვამხნევე და დაგვიცავი!

ვ. კაზინი

## ჩემი გედი

ტროფობით, ეინით,
შკლაშინი—
ჩემი გედი ხელსაჭერი,
ტკბილ თარეშით
მდინარეში
გადეშვა ის სიმღერით.
იყავ მწვავე,
იცურავე,
ნაპირებთან ნელა, ნელა;
იყავ ბანცი,
ხარბი ჭანგით
დააგროვე ბურბუშელა.
თითქო ფიქრის
გედი მიჭრის,
წყალვარდნილი კრთის ხმიანი.
და ჩემს მუხლებს,
შენაულლებს,
ფარავს ტალღა ჭაფიანი!

მ. გერასიმოვი.

## თუჯის ემბაზში

ჩვენ სოფლებიდან მოვედით, სადაც
ცხოვრება არის დინჯი და სადა.
ვნახეთ ქალაქი ფოლადიანი.
სირინოზები რკინის, ხმიანი.
ჩვენ მოგვიტაცა ცეცხლიან ქურამ.
ქვამლმა, ფოლადმა სახე გამურა.
თითქო ჩვენ გავხდით ბორკილთა მსხვერპლი
და რკინეულის ვიგემეთ ფერფლი.
დაგვაგვირგვინა ქარხნის კანდელმა,
შის დაისების ამ ყრუანტელმა.
ქარხნის მუსიკით გაბანგულები
არიან ჩვენი ნორჩი გულები.
ჩვენ მოგვესხურა ლითონი ბრაზით,
გვნათლავს მრისხანეთ თუჯის ემბაზი.
დავტოვეთ სული ქოხის და ჩალის
და სულ სხვანაირს მივენდეთ ხალისს.
დავიწყებული როგორც ზმანება,
ყოფნა წარსული არ გვენანება.
ჩვენ აჯანყება გვიხმობს მღელვარე,
კანკალებს სული მხნე, მოელვარე.
ქარხანა ზღვაა, რომ არ დადნება,
მომდინარეობს ამაყ მადნებათ.
ელექტრონის და ცეცხლების ტალღამ
შრომის კუნთები ველარ დათალხა.
წითელ სიმების გავხდით მგოსნები,
შემომქმედ ცეცხლებს—ჩვენი კოცნება.
ჩვენ ტიტანები გავხდით ბუნებით,
და განთიადის ვართ ტრიბუნები.

---

გროვა—ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „თავისუფალ პროფესიის“ ხალხის ზურგზე ცხოვრობს*).

ამნაირად, ხელოვნება ძველი საზოგადოების სინამდვილემ თავის მორევში ჩაითრია, ის მაღალ-ხარისხოვან საქონლად გადაიქცია და, როგორც ასეთი, მოაშორა კაცობრიობის დიდ უმრავლესობას.

ორმოციან წლების ინგლისელი მწერალი ვილიამს მორისი ამბობს:

„იმის ნაცვლად, რომ ვუცქირო, როგორ უსარგებლოდ ჰქრება ხელოვნება ადამიანთა უმცირეს, რჩეულ ნაწილის შორის, მე ვარჩევდი, რომ ხელოვნება რამდენიმე ხნით გამქრალიყო დედა-მიწის პირიდან“-ო.

რა თქმა უნდა, ასეთი სისასტიკე, თუნდაც კაცობრიობის უმცირეს ნაწილის ხელში ტყვედ მყოფ ხელოვნების მიმართ, გადაჭარბებული და უადგილო იქნებოდა. მაგრამ ეს გულისწყრომა არც ისე უსაფუძვლოა. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ხელოვნება საკუთრების სალაროში გადაიტანა, ჩაჰკეტა მუზეუმებში, გალერეებში, სალონებში და მოაშორა მას ადამიანის თვალი და ყური.

*) გამოჩენილ ფრანგ-მხატვარმა ფრანსუა მილემ, რომელსაც ცოლი „ფეხმძიმედ ჰყავდა და სრულიად უსახსროდ იყო, თავის სურათი „Angelus“ მიჰყიდა პაილეს 1.000 ფრანკად; ტაბემ მიყიდა ის დიურან ელიეს 12.000 ფრანკათ, დიურან რიულიემ ვილსონს 38.000 ფრანკად. ვილსონმა გაჰყიდა სურათი 1881 წ. 160.000 ფრანკად; მხატვართა კავშირმა შეიძინა ის 553.000 ფრან. გ. გარნიემ შეიძინა კავშირისაგან ეს სურათი და მიჰყიდა შოშარს 800.000 ფრანკად. (Вандервельде, «Социализм и искусство». Петербург 1906 г.).

ახალ ხელოვნების დანიშნულებაა ერთმანეთს დაუკავშიროს შრომა და ხელოვნება. სილამაზით და მშვენიერებით უნდა იქნეს აღვსილი მთელი მომავალი ცხოვრება. ხელოვნებას უნდა აეყაროს ის ხუნდები, რომელიც მას ჟამთა უკულმართობამ დაადო. სილამაზე უნდა აღიბეჭდებოდეს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე: შრომაში, მოქმედებაში, სახლებზე, ქუჩებზე, ტანთსაცმელზე და ავეჯზედ. ასეთია პროლეტარიატის საბოლოო მიზანი.

მაშინ, როცა საწარმოო იარაღები უაღრესად განვითარდება და აუარებელი საზოგადოებრივი სიმდიდრე დაიყრის თავს—ეკონომიურ უზრუნველყოფის კითხვა ადამიანისაგან დიდ ყურადღებას აღარ მოითხოვს და კულტურის განვითარება სწრაფი ნაბიჯით წავა წინ.

ეკონომისტ **გობსონმა** სრულიად სამართლიანად სთქვა ამის შესახებ: „ერთ დროს ეკონომიური მოქმედება დაყვანილი იქნება კულტურის დაბლა სართულამდე და ის თითქმის მთლიანად მანქანის ფოლადის მხრებს დაეკისრება. ადამიანი კი დარჩება მეცნიერულ, მხატვრულ და მორალურ მოქმედების სფეროში“-ო[1]).

ამიტომ პროლეტარიატს ესაჭიროება არა ბურჟუაზიული კულტურტრეგერობა, არამედ წმინდა პროლეტარული შემოქმედება, ხელოვნების განსაზოგადოებრივება და მისი ადამიანთან დაბრუნება. პროლეტარიატის ხელოვნება შრომის ორგანიზაციის იარაღია. **მას სწამს მხოლოდ ხელოვნება ცხოვრებისათვის.**

**რანი.**

[1]) Журн. „Пролетарская Культура“ № № 17, 18 и 19, 1920 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშინელი ამბავი

### I ახალგაზრდა ჭაღარა

ერთ კვირა დილას ჩავჯექი მატარებელში და სესტრორეცკისაკენ გავეშურე ერთი ნაცნობის სანახავად.

დილის ათი საათი იყო, როდესაც მივადექი მის ბინას, მაგრამ უკვე გამოსულიყო სახლიდან და ვეღარა ვნახე.

გადავწყვიტე მცირე ხნის შემდეგ შემომევლო, ახლა კი წავსულიყავი სადმე და იქაურობა დამეთვალიერებინა.

მანამდე კი შევედი იქვე სასადილოში და მოვითხოვე ჩაი და საუზმე.

სასადილოში, მიუხედავად კვირა დღისა, ხალხი ცოტა იყო. ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა, სასადილოს პატრონი კი ყველა წამსვლელ-მომსვლელს ზრდილობიანად თავს უკრავდა და აღმოსავლეთის კუთხეში მიკრულ უმვლელებელ ხატზე მალმალე პირჯვარს იწერდა.

ჩემს გვერდით მაგიდას უჯდა და ჩაის შეექცეოდა ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე ჭაღარა კაცი.

— ჭაღარა თავვო, როგორა ხარ?—დაუძახა ვიღაცამ მახლობელ მაგიდიდან.

ჭაღარამ გაღახედა, ჯერ მხრები აიწია, მერე ხელი ჩაიქნია და უსიტყვოდ მიაჩერდა ერთ წერტილს.

„ნეტა რამ გააჭაღარავა ეს კაცი ასე უდროოდ?"—ვიფიქრე.

სასადილოდან გამოსვლისას ის ახალგაზრდა ჭაღარა ისევ ისე უძრავად იჯდა.

— მშვიდობით, ბატონო! შემოიარეთ!— მძიმე თავის დაკვრით მომაძახა კარებში სასადილოს პატრონმა.

— გმადლობთ სტუმართმოყვარეობისათვის, შემოვივლი,—მიუგე მე და გარედ გამოველი.

### II. სასადილოში

მთელი სესტრორეცკი შემოვიარე, ზღვის პირასაც კი ვიყავი, მაგრამ ჩემს ნაცნობს ვერსად შევხვდი.

ნაშუადღევის სამ საათზე ხელახლად მოვაკითხე ბინაზე, მაგრამ სახლში არც ახლა დამხვდა.

ბინის დიასახლისს ამბავი დაუტოვე, როცა მოვიდოდა, პირდაპირ სასადილოში მოსულიყო და მეც იქ წაველ, სადაც აუარებელი ხალხი იყო იმ ჟამად თავმოყრილი.

ჩამოვუარე იქაურობას, მაგრამ თავისუფალი მაგიდა ვერ ვნახე.

ჩვენი ნაცნობი ახალგაზრდა ჭაღარაც იქ იყო. არ ვიცი, ისიც მეორედ მოსულიყო, თუ დილას აქეთ იქ იჯდა, ისევ იმავე მაგიდასთან რომელთანაც მე დავტოვე.



გარდაიცვალა იტალიის კომპარტიის ბელადი სერატი

მან როგორღაც შემომხედა და, რა შემატყო რომ დასაჯდომ ალაგს ვეძებდი, წამოდგა და მოწიწებით მითხრა:

— დაბრძანდით, ბატონო, მაგიდა ორივეს დაგვიტევს!

— გმადლობ, კეთილო კაცო, მიუგე და დავჯექი.

— ყველა ადამიანი კეთილი უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის, მაგრამ ხანდახან ჩვენს ცხოვრებაში ადამიანი ისეთ ბოროტებას იდენს, რომლის ჩადენასაც ის არ ჰფიქრობდა: ეს ხდება ადამიანის უნებურად,—სთქვა მან და ღრმად ამოიოხრა.

— მართალი ხარ, ჩემო მეგობარო,—დავეთანხმე—კაცი თავისდაუნებურად ხშირად ისეთ ბოროტებას სჩადის, რომელიც მას სრულიად არ განუზრახავს...

— აი, როგორც მე,—სთქვა მან,—მე ეხლა კატორღაში უნდა ვიყო, სახრჩობელაზე ვეკიდო და ყვავები ჰკორტნიდეს ჩემს ლეშს, მაგრამ აქ დავეხეტები, არც კატორღაში ვარ, არც სახრჩობელაზე ვკიდივარ და არც ყვავები მკორტნიან!

— მეგობარო, განა რა ჩაიდინეთ ისეთი?

— აი, ჩემს თავს ხომ ხედავთ? ჩემს დანაოჭებულ სახეს ხომ ხედავთ? ჯერ სულ ოცდა რვა წლის კაცი ვარ! ყველა ეს იმ ბოროტების შემდეგ დამემართა, რომელიც მე ჩავიდინე!

მისმა სიტყვებმა ძლიერ დამაინტერესა და გადავწყვიტე გამომეკითხა, თუ რა ჩაიდინა ისეთი, რომელზედაც ის ისე სწუხდა. ამიტომ შევეკითხე:

— მეგობარო, არ მეტყვით, რა ჩაგიდენიათ ისეთი, რომ ახალგაზდრა კაცი აგრე გატეხილხართ?

— ეჰ! რაც მე ჩავიდინე, ისეთი საშინელი ამბავი დედამიწის ზურგზე ჯერ არავის ჩაუდენია!

— მაინც?

— გეტყვით თუ გსურთ მოსმენა... ეს ამბავი მხოლოდ ერთს მეგობარს ვუამბე, მეორე თქვენ იქნებით,—მითხრა და დაფიქრდა.

მე მოსასმენად მოვემზადე.

### III მუშა გერმანე ლისენკო

— მე მუშა ვარ, გერმანე ლისენკო,—დაიწყო ჩემმა თანამოსაუბრემ:—მე, ჩემი დედ-მამა და პატარა დაი ვცხოვრობდით ქალაქ ტვერში.

მამა ნოქარი იყო ხელობით, მეტად მცირე ჯამაგირს იღებდა და ამიტომ ჩვენ დიდი გაჭირვებით ვცხოვრობდით. საბრალო დედა კი ერთავად ავადმყოფი ლოგინში იწვა.

მე და ჩემი დაი კიდევ ვერ ვგრძნობდით ჩვენი მშობლების აუტანელ მდგომარეობას და უზრუნველად ვთამაშობდით, ვმხიარულობდით და დროს ვატარებდით.

ერთ დღეს დედა ძლიერ შეწუხდა და მამის ნახვა მოისურვა. მე სირბილით გავექანე მის მოსაყვანად.

საბრალო მამა, მახსოვს, როგორ საშინლად შეწუხდა და სირბილით წამოვიდა სახლისაკენ, მაგრამ დედას ვეღარ მოუსწრო, ის უკვე მომკვდარიყო.

მე იმ დროს უკვე ათის წლისაზე მეტი ვიყავ და სკოლაში დავდიოდი. მამა დაღამებამდე მუშაობდა. ჩემი პატარა ექვსი წლის დაი ანისია კი სახლში იყო ერთი კეთილი მეზობლის მეთვალყურეობის ქვეშ.

გავიდა ხუთი-ექვსი თვე დღიდან ჩვენი დედის გარდაცვალებისა.

არ მახსოვს და, ვგონებ, კვირა დღე იყო, რომ მამამ ვიღაც ახალგაზრდა ქალი მოიყვანა სახლში და გამოგვიცხადა, რომ ეს ქალი დედათქვენი იქნებაო. თითონ მამა იმ დროს ორმოცდახუთი წლის კაცი იყო.

ახალმა დედამ მოგვიალერსა, დაგვკოცნა—ჭკვიანად იყავითო და გარედ გაგვისტუმრა სათამაშოდ...

თუმცა ბავშვი ვიყავ, მაგრამ ვიგრძენ, რომ ახალი დედის ალერსი არ იყო ნამდვილი მშობლიური, არ ჰგავდა დედიჩემის ალერსს... ეს პატარა ანისიამაც კი იგრძნო.

როდესაც ჩვენ გარეთ გამოვედით, მე შევეკითხე:



1. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი **ალ. გეგეჭკორი.**
2. საქართველოს პირველი სახალხო მეტყველი **ივანე რაფაელის-ძე მაისურაშვილი**

გიხარიან ახალი დედის მოსვლა?

— არა, მე არ მინდა ახალი დედა, მე წინანდელი დედა მინდა,—მომიგო მან და ნაღვლიანი თვალები გამომტერა.

მისი ბავშვური გული ჰგრძნობდა, რომ ახალი დედისაგან სიკეთე არ მოგველოდა.

მეორე დღეს ახალი დედა მთლად გაღმობარგდა და ამრიგად ჩვენს ოჯახში დაიწყო ახალი ცხოვრება.

მამამ დაგვარიგა, რომ თუ ჭკვიანად არ ვიქნებით და დედინაცვალს არ დავემორჩილებით, გარეთ გაგვყრიდა და გლახებათ გვატარებდა...



აბასთუმანის სატყეო. მწყემსებისგან საძოვარისთვის მოჭრილი-ტყე, უგზოობის გამო ხე-ტყე ვერ გამოუზიდიათ და დამპალა.

მე დავპირდი მორჩილებას და ყველა მისი ბრძანების უსიტყვოდ ასრულებას.

მესამე დღეს დაიწყო დედინაცვლის სისასტიკე და დევნა.

ამ დღეს საღამოს ჩაის სმის დროს ანისიას ხელიდან დაავარდნინა პურის ნაჭერი და ძაღლის ნაშობი უწოდა, რადგან ეს ნაჭერი მან ნებადაურთველად აიღო მაგიდიდან.

ამის დანახვით გული მომიკვდა, მაგრამ რას ვიზამდი.

ანისიამ ტირილი დაიწყო, გადამეხვია და გულსაკლავად ქვითინებდა.

მეც ავტირდი. დედა გამახსენდა, ჩვენი ტკბილი დედა.

— რას ჩაეკარით ერთმანეთს, თქვე გველის წიწილებო!—დაგვიჩხავლა დედინაცვალმა და წაგვიმუჯლუგუნა.

ანისიას ჩხირის მსგავსი მკლავები უფრო მაგრა მეხვეოდენ კისერზე; ჩემში, სუსტ ბავშვში, ის ეძებდა ძლიერ მფარველს, მაგრამ მე რის მფარველი ვიყავი, როდესაც პურის ჭამის მეტი შნო არაფრისა მქონდა. გული მიკვდებოდა.

ამასობაში მამა მოვიდა და დედინაცვალს გაუვარდა...

თუ ღმერთი გწამს, ეს გველის წიწილები მომაშორე თავიდან, თორემ შემჭამეს!—უთხრა დედინაცვალმა.

— ჩემო ჩიტებო, რატომ ჭკვიანად არა ხართ, რად აჯავრებთ დედას?—გვითხრა მამამ.

— ეგ ჩვენი დედა არ არის, ჩვენი დედა საფლავშია... ამიტომ მოიყვანე ეს დედაკაცი, რომ ჩვენ გვტანჯოს!—შესტირა მამას ანისიამ.

— უყურე, უყურე ამ გველის წიწილს!—წამოიძახა დედინაცვალმა და მზად იყო დაგვეტაკებოდა, მაგრამ მამამ არ გაუშვა.

მამა დაღონებული იჯდა და ხან ჩვენ გვიყურებდა, ხან დედინაცვალს.

### IV დედის საფლავთან

გადიოდა დღეები. დედინაცვალმა ჩვენ დევნას უმატა. ჯოხიც კი შეიძინა ჩვენ საცემრად.

მე და ანისია ხშირად დავდიოდით სასაფლაოზე, სადაც ჩვენი დედა იყო დამარხული. მთელი საათობით ვიყავით დედასთან და ცხარე ცრემლით დავსტიროდით ტკბილი დედის საფლავს. ვემდურებოდით ამოსულიყო საფლავიდან და მფარველობა გაეწია ჩვენთვის, მაგრამ მას არ ესმოდა ჩვენი მუდარა, ის არ ჰხედავდა ჩვენს ცრემლებს, რომლითაც ვალბობდით მის სამარეს, უსიტყვოდ იწვა ცივს სამარეში, არ ამოდიოდა, არ გვანუგეშებდა და არ გვიალერსებდა დედობრივის სიყვარულით...



ტყის გაწმენდა. მოჭრილია ბებერი ხე, რომელიც უშლიდა ზრდას ახალგაზრდა ხეებს.

## ტყის დღე

17 მაისიდან საქართველოში ტარდება „ტყის დღის" კამპანია.

უამინდობის გამო თბილისში „ტყის დღე" ჩატარდება მხოლოდ კვირას, 31 მაისს.

თუ გავითვალისწინებთ ტყეების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისთვის და მათს დღევანდელს არა სასურველ მდგომარეობას, გასაგები იქნება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ „დღეს", რომელიც შემოღებულია საქართველოში მხოლოდ დღეიდან, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ჩვენში დღევანდლამდის არ არის შეგნება, რომ ტყის გაჩეხვას მოსდევს დიდი ნიაღვრები, რომელნიც საშინელ ზიანს აყენებს ჩვენს მშრომელ გლეხკაცობას, რომ ტყის გაჩეხას მოსდევს გვალვა, ქარი; რომ ტყე გარდა იმისა, რომ არის საშენი და სათბობი მასალა, იგი უზრუნველმყოფელია ჩვენი ჯანმრთელობის.

ამიტომ დღეიდან მის მოუვლელობას, გაუფრთხილებლობას და შეუბრალებელ გაჩეხვს ჩვენში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

„ტყის დღის" კამპანიაში მონაწილეობას იღებს თვით მოსახლეობა და ადგილობრივი კულტურული ძალები, როგორც გვატყობინებენ ხალხი დიდის ინტერესით ეგებება ამ დღეს, მხოლოდ ზოგ ადგილებში უამინდობა უშლის ხელს მის საზეიმო ჩატარებას...

---

— თქვე გველის წიწილებო, რას დაეთრევით ამ სასაფლაოზე?!—მოგვაფრინდა ერთხელ დედინაცვალი და დაგვიწყო ჯოხით ცემა.

მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო.

გამოვეთხოვე ჩემს დას, და დავპირდი კამფეტების გამოგზავნას და ვგზლისკენ გავემართე.

— არ დაგავიწყდეს, კამფეტები გამომიგზავნე!—მომაძახა ანისიამ.

— არა, არა.—ვუპასუხე მე და გზას გავუდექ, უკან აღარ მიმიხედნია.

მე გადავწყვიტე მოსკოვში წასვლა, სადაც ერთ ქარხანაში მუშაობდა ჩვენი მამის ძმა—კალისტრატე ლისენკო.

მოსკოვისკენ მიმავალ მატარებელში შევძვერ და დავიმალე სკამის ქვეშ. ერთმა მგზავრმა გამომათრია და გარედ გაგდება დამიპირა.

— ეს ქურდია, მოიპარავს რამეს,—სთქვა მან.

მე ტირილი დავიწყე და ვუთხარ, რაშიაც იყო საქმე. მაშინ დარწმუნდნენ, რომ მე ქურდი არ ვიყავ და თანაგრძნობით მომეპყრნენ. პურით და ძეხვითაც კი გამიმასპინძლდნენ.

მოსკოვში მისვლისთანავე ბევრი ვეძიე ბიძაჩემი, მაგრამ მის კვალსაც ვერ მივაგენი. პირველი ღამე ცის ქვეშ გავათენე, მეორე დღეს ერთ მეწვრილმანის დუქანში მოვეწყე, სადაც დილიდან საღამომდე წვრილსა მწყვეტავდნენ მუშაობით. დუქნის დაკეტის შემდეგ კიდევ სახლში მიმსახურებდნენ.

ასეთ შრომის ფასად თვეში ერთ მანეთს ვიღებდი.

ასე გავატარე მე ოთხი წელიწადი. თხუთმეტი წლისა შევიქენი. ამ დროის განმავლობაში მე ერთი წამითაც არ დამვიწყებია ჩემი ცქრიალა, მოტიკტიკე პატარა დაი, არც იმის დანაბარები „არ დამივიწყო. კამფეტები გამომიგზავნეო". რამდენჯერმე დავაპირე პირობის შესრულება, მაგრამ შემეშინდა, ვფიქრობდი—გაიგებენ, საიდან არის გამოგზავნილი, ძებნას დამიწყებენ და დედინაცვალთან დამაბრუნებენ-მეთქი.

თვეში მენეთს, რომ ვიღებდი ჯამაგირს, ნაწილს ტანისამოსის და ფეხსაცმელის სყიდვას ვანდომებდი, ნაწილს კი ვინახავდი, და ამ ოთხი წლის განმავლობაში ოც მანეთზე მეტი მომიგროვდა.

გადავწყვიტე წავსულიყავი ტვერში და ჩემი დაი მენახა. შევასრულე კიდეც ეს გადაწყვეტილება.

ტვერში მისვლისთანავე მივაშურე ნაცნობ სახლს. სადაც იგი მეგულებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, რომ იმ სახლში არა თუ დაი და მამა, წინანდელი მდგმურიც კი არავინ დამიხვდა, რომ მეკითხა რამე.

### V ციმბირში

ორი დღის ამაო ძებნის შემდეგ გულდაწყვეტილი დავბრუნდი მოსკოვში ჩემს ძველ ალაგას.

გავიდა სამი-ოთხი თვე და ერთი ჩვენი მუშტრის მუშა - მექანიკოსის რჩევით თავი დავანებე მეწვრილმანის დუქანს და შევგირდად მივედი იმ ქარხანაში, სადაც ჩემი მრჩეველი მუშაობდა. ბინაც მასთანვე გავიჩი-

ნე. მისი რჩევისათვის დღესაც მადლიერი ვარ და არ დამავიწყდება მისი სიკეთე.

მეოცე წელში გადავაბიჯე. უკვე ოსტატი ვიყავი. ვცხოვრობდი ჩემთვის მშვიდათ, წყნარად.

დაიწყო გაფიცვები. ამუშავდენ მუშათა ორგანიზაციები. მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო, და მეც შევერიე ამ მოძრაობის ტალღებში.

ცხრაას ექვს წელში რეაქციამ გაიმარჯვა და რევოლიუციას ლიკვიდაცია უყო. ციხეები გაივსო საუკეთესო მებრძოლ მუშებით. ბევრი ციმბირში გადაასახლეს და იქაურობა გაავსეს რევოლიუციურ მუშებით. მათ რიცხვებში მეც მოვხვდი, რასაკვირველია.

გავიდა ხუთი-ექვსი წელიწადი. გადასახლების ვადა გამითავდა, მაგრამ მე არ ვეჩქარებოდი იქიდან გამომგზავრებას. ვცხოვრობდი ქალაქ ტომსკში, სადაც ბლომად იყვნენ გადასახლებულნი.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახლებულნი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით, ჩვენ მაინც განვაგრძობდით მუშაობას და ერთი წამითაც არ დაგვეიკარგავს იმედი, რომ ბოლოს გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა მუშათა მოძრაობა, რევოლიუცია...

მე მიყვარდა ერთი ქალი ელენა, რომელსაც შევფიცე, რომ მის მეტი არავინ მეყვარება ჩემს დღეში.

ბევრი ყოყმანის შემდეგ ელენა დამთანხმდა ცოლობაზე. იმ პირობით, რომ მე ტომსკიდან არსად არ უნდა წავსულიყავი.

ძნელი იყო ჩემთვის ასეთი პირობის მიცემა, მაგრამ სიყვარულმა ყველაფერს დასძლია.

მოუთმენელად ველოდი ელენესთან შეუღლებას და ბედნიერ ცხოვრებას, მაგრამ უცებ ის ავად გამიხდა სახადით და გადაჰყვა კიდეც.

მას შემდეგ მე გადავსწყვიტე ცოლი არ შემერთო.

შემოდგომა იყო. ციმბირის სუსხიანი ზამთარი გვიახლოვდებოდა.

ოთხმა უკრაინელმა ამხანაგმა გადასწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. მათ სურვილს მეც შევუერთდი. ერთ დღეს გამოვეთხოვეთ ამხანაგებს და სწრაფმა მატარებელმა გაგვაქანა მოსკოვისაკენ.

ჩემი თანამგზავრები მოსკოვიდან კიევისაკენ გაემგზავრენ, მე კი დავრჩი მოსკოვში და დავიწყე მუშაობა ერთ ქარხანაში. ბინა მქონდა სირომიატნის ქუჩაზე, ერთ მოხუცებულ მუშასთან, სახელათ პოლიკარპესთან. იგი ძველი რევოლიუციონერი აღმოჩნდა. მას უკვე ეგემა ციხე, ციმბირი და სხვა. თავისი ქალით და სიძით სცხოვრობდა ამ ბინაზე და მასთან ხშირად იყრიდნენ თავს სხვა და სხვა მუშები და თავისუფლად ბაასობდენ.

პოლიკარპემ ბევრი რამ იცოდა და ის გამოდიოდა ხშირად ლექტორათ და ამზადებდა ახალგაზრდა მუშებს მომავალ რევოლიუციისათვის.

— ერთხელ დავმარცხდით, მაგრამ მეორედ აღარ დავმარცხდებით, გამარჯვებული გამოვალთ ბრძოლიდან!— ამბობდა პოლიკარპე და ღრმად სწამდა მას ეს და ელოდებოდა ამ გამარჯვებას.

ბოლო ხანებში მე ველარ ვესწრებოდი პოლიკარპეს კრებებს, რადგან თავს ძლიერ ცუდათ ვგრძნობდი. თავი მტკიოდა განუწყვეტლივ, სახე ხუწუწებით გამევსო და არც ჭამის მადა მქონდა.

ერთ შაბათ საღამოს ექიმს მივმართე. მან კარგად გამსინჯა და მითხრა:

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდახუთის, ექვსში გადაველი,—ვუპასუხე მე.

— შენ ჩემო მეგობარო,—ღიმილით მითხრა ექიმმა,— თავი კარგად შეგინახავს, კაი მოთმინება გქონია... არაფე-

## სრულიად საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაკთა პირველ ყრილობის მეტყევეები



**პირველ ჯგუფში**

1. ს. ბაქრაძე—სატყეო განყ. გამგე.
2. პროფ. ს. ქურდიანი—ტყის მოწყობის ინსპექტორი.
3. ნ. ბრეგვაძე—ტყის დაცვა-ექსპლოატაციის ინსპექტორი.
4. ნ. ფი' ც ილაიშვილი—ტყის განახ. კულტურის ინსპექტორი.

**მეორე ჯგუფში**

1. რევიზორი-ინსპექტორი—დ. კარსელიშვილი.
2. რევ. ინსტ. რ. ერისთავი.
3. ტაქსატორი—„შრომის გმირი"—ე. ფეოდოროვი.
4. სამთო-საკულტურო სატყეოს გამგე—გ. ბრეგვაძე.

**ტყის მომწყობნი:**

5. ს. სურგულაძე.
6. უ. ნადარეიშვილი.

**მესამე ჯგუფში:**

1. გ. კონსტანტინაშვილი. 2. ს. სურგულაძე. 3. თბილისის ტყის გამგე გ. აბულაძე.



ბუნების ძეგლი. „შავი ტყე" ბორჯომის რაიონი.



ტყე წანაზარდებით ავსილი, რომელსაც სჭირია ბუჩქებისგან გაწმენდა.

რი ავადმყოფობა შენ არა გაქვს და არც წამალია შენთვის საჭირო. შენი წამალია—ცოლის შერთვა...

— როგორ თუ ცოლის შერთვა?!

მაშ სხვა გზა არ არის, უსათუოდ უნდა შეირთო ცოლი?

— ექიმო, საქმე იმაშია, რომ მე ჩემს მკვდარ საცოლეს, ფიცი მივეცი, რომ არასოდეს ცოლს არ შევირთავდი და არც ვინმე დედაკაცს მივეკარებოდი ჩემს სიცოცხლეში...

— სიტყვის გატეხა მიცვალებულის წინაშე არაფერია,—სთქვა ექიმმა მცირე სიჩუმის შემდეგ.—სიტყვა ის არის ცოცხალ ადამიანს არ მოატყუო, თორემ მკვდარს არც ესმის რამე და არც უკან გამოგეკიდება...

მე გამოვეთხოვე ექიმს და გამოვედი გარედ.

მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა მე ძლიერ დამაფიქრა.

## ცვეტნოი ბულვარზე"

ღამის ათ საათამდე დავეხეტებოდი დაფიქრებული.

ჩემს წინ იდგა საკითხი: ფიცის გატეხა, ან სიუკუნოდ ტანჯვა! ვერც ერთი ვერ გადამეწყვიტა. არც ფიცის გატეხა მინდოდა, არც საუკუნო ტანჯვა. ორივე მემძიმებოდა.

შევედი ერთ ტრაქტირში. მოვითხოვე საჭმელი. სისადილოს დასაბშობად ნახევარი ბოთლი არაყიც გადავკარი ერთბაშად და შეზარხოშებული გამოველი გარედ. „ცვეტნოი ბულვარზე" ჩამოვჯექი ერთ სკამზე და დავიწყე ფიქრი, მასზე თუ როგორ მოვქცეულიყავი.

ამ დროს გვერდზე მომიჯდა ერთი ქალი, ახალგაზრდა, თოვლივით თეთრი. ა.:ეხა და მხრებზე შავი შალი ჰქონდა წამოსხმული და ეს უფრო ათეთრებდა მის ისედაც თეთრ სახეს

ამ ბულვარზე მინახავს მეძავი ქალები, ფეროუმარილით გალესილები, მოუსვენრები, რომლებიც ზედ ახტებიან გამვლელ-გამომვლელთ, თავს აბეზრებენ.

ეს ქალი არ ჰგავდათ მათ. იჯდა ჩუმად და ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემსკენ.

— საღამო მშვიდობისა,—გაუბედავად მივესალმე მას, რომელიც ჩემგან სულ ორი ადლით იყო დაშორებული.

— გაგიმარჯოთ,—შოჰიგო ნელი ხმით და მორცხვად გადმომხედა.

— ამ დროს აქ რამ მოგიყვანათ, თერთმეტი საათი სრულდება?—ვკითხე მე და ცოტა მიუახლოვდი.

— გაჭირვებამ,—სთქვა მან და მძიმედ ამოიოხრა.

— განა რა გაჭირვება გაქვთ ისეთი?

— რაღა რა გაჭირვება, წელიწადნახევარია, რაც ქმარი ავადა მყავს საავადმყოფოში, მეც ვერაფერი საქმე მიშოვნია... ერთი ბებერი მამა მყავს, ისიც ლოთი!..

— რა მოხელეა მამათქვენი?

— მათხოვარი...

— რა გქვიანთ სახელად?

— მარიამი...

— ვწუხვარ, რომ აგეთ ცუდ მდგომარეობაში ყოფილხართ, მაგრამ რას იზამ...

— რა უნდა ვქნა, ჩემი ბედია, ასე უნდა ვიტანჯო!—სთქვა და მძიმედ ამოიოხრა.

— რამდენი წლისა ხართ?

— ოცდა ერთისა.

— რამდენი ხანია, რაც გათხოვდით?

— ორი წელიწადია... არ მინდოდა გათხოვება, მაგრამ მამამ ძალით გამათხოვა. ჩემი ქმარი ძლიერ ლოთი გა-

მოდგა, ხშირად თვრებოდა და ცემა-ტყეპით მიმასპინძლდებოდა. მამა მესარჩლებოდა, მაგრამ იმასაც სცემდა. ერთი ჩხუბის დროს მამას რკინა დარტყა ბეჭში და ისე დაზიანა, რომ მარჯვენა ხელი ისე უმოქმედოდ ჰკიდია, ვერ მუშაობს და იძულებულია საწყალი მამა იმათხოვროს... ისიც, რასაც მოულობს, არაყში ხარჯავს და შინ ცარიელი მოდის... მე კიდევ მშიერი ვგდივარ სახლში...

— საწყალო ქალო! ვერ ყოფილხართ ბედნიერი! სად არის ახლა მამა თქვენი?

— ძალზე მთვრალი მოვიდა, დავაძინე და მე კი აქეთ გამოვისეირნე, ბედის საცდელად, იქნება რამე ვიშოვნო-მეთქი...

— სამწუხარო ისტორიაა... სულით და გულით თანაგიგრძნობთ, ქალო, ვიყოთ მეგობრები და, მერწმუნე, როგორც პატიოსანი კაცი, მე შენ არაფერს გაწყენინებ, პირიქით დაგეხმარები ცხოვრებაში, რითაც კი შემიძლიან და ხელს შეგიწყობ,—ვუთხარი მე და პასუხს ველოდი.

ქალი სდუმდა.

— მით უმეტეს ავეთი უვარგისი ქმარი გყოლია, შენ ადგილას მე ერთი წამითაც არ ვიყოყმანებდი... დამეთანხმეთ...

ქალი განაგრძობდა ყოყმანს.

ნიკო ახლამაზიშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



ძმები ლიუმიერ

კინოს გამომგონებლები

## კინო და რადიო, როგორც კაცობრიობის შემაერთებელი ძალა

(კინოს გამოგონებიდან 30 წ. შესრულების გამო)

ჩვენ მოწმენი ვხდებით უძლიერეს და ღრმეს რევოლიუციის, რომელიც კი ახსოვს კაცობრიობას დღიდან თავისი არსებობისა.

საბერძნეთისა და რომის უძველესი კულტურა უბრალო ხუხულად მოსჩანს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა წინაშე.

კაცობრიობის ისტორია რამოდენიმეჯერ სისწრაფის ისტორიასაც წარმოადგენს. ისტორია არასდროს არ მეორდება, რადგან ის მუდამ წინ მიისწრაფის ყოველ ხანაში თავისებურად შემწიფებულ ეკონომიურ პირობების ზეგავლენით.

კაპიტალიზმიდან წარმოიშობა სრულიად ახალი ცივილიზაცია, რომლის სოციალური გამოსახვასაც უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ მსოფლიო კომუნიზმი. ეს ცივილიზაცია ვითარდება თავბრუდამხვევი სისწრაფით, არღვევს კაპიტალიზმის საზღვრებს და სრულ განადგურებას უქადის მას.

ჩვენ. რასაკვირველია, ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი და სრულიად ახალი საშუალება გამონახა თავის აზრის გამოსახატავ ვიდსამისოდ ჩვენ ხელთ მოიპოვება მრავალი იარაღი, რომელთა ძალასა და მნიშვნელობას ჩვენ ხშირად ვერ ვიცნობთ და ამიტომ ვერცა ვსარგებლობთ სავსებით.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ხანაში, როცა კაცობრიობამ სრულიად ახალი საშუალება გამონახა თავის აზრის გამოსახატავად ვიდრე დიდ-ტომიანი წიგნება.

უხლა აზრი მკვირცხლად დაჰქრის სინათლეში და ტალღებში. ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, გაჟღენთილია ათასგვარი ცნობებით.

დღეს რევოლიუცია ლაპარაკობს კინოსი და რადიოს სახით.

ლეონ მუსინაკის თავის წიგნში „კინოს წარმოება“, საუცხოვოდ ახასიათებს ამ მეშვიდე ხელოვნებას.

„დამკვიდრებულ პლასტიკას ეკარგება მნიშვნელობა. თანამედროვე ადამიანი ესწრაფვის, რაც შეიძლება, სავსებით ჩაერთოს მოძრაობაში.



სტერეოტიპი გვერდების ჩამოსასხმელი მანქანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო, გარდა სხვა თვისებებისა, არის დროის ხელოვნებაც. ის გასაოცარის სისწრაფით ზომავს დროს. ფიქრმაც მიიღო უმავთულო ტელეგრაფის სისწრაფე; დღეს მთელი ქვეყანა ჩვენ ოთახშია.

მშვიდობით ლიტერატურა! ელექტრონის მოხელის მიერ რაიმე უბრალო აღმოჩენა უფრო ბევრსა ჰმატებს ხელოვნებას, ვიდრე რომანისტების ყველა კომბინაციები და მოგონებანი.

კინო ან იქნება სახალხო, ან არ იქნება.

ჩვენ ვცხოვრობთ დიდებულ და საგანგებოთ ამღელვარებელ ხანაში.

თანამედროვე გიგანტურ გარდაქმნებში კინოს სახით წარმოშობა სრულიად ახალი ხელოვნება, რომელიც ნელ-ნელა ქმნის თავის საკუთარ კანონებს და ვითარდება. ეს ხელოვნება იქნება ახალი დროის იდეალების გამტარი, ძლიერი და ორგინალური გამომსახველი, ამ ხელოვნებას ჯერ კიდევ ბევრი ძნელი გზა აქვს გასავლელი, რომლის სიღრმეზე ზოგს არა სჯერა, რადგან სავსებით ვერ შეუგრძნიათ ჭეშმარიტების სიდიადე.

მუსინაკი ეხება ხელოვნების მეორე ახალ ფორმასაც: ეს არის რადიო.

რადიოს ჯერ არ შეუქმნია თავის საკუთარი ხელოვნება, როგორც კინოს, მაგრამ უეჭველათ კი შექმნის.

საკუთარივ კინოსთვის უკვე დაიწყეს წერა. მაგრამ რადიოსათვის ჯერ არაფერი დაწერილა საგანგებოდ.

რადიო უეჭველად გადიქცევა ხელოვნებათ და უდიდესი მომავალიც ექნება. წარმოვიდგენოთ ბეთჰოვენის მსგავსი ხელოვანი, რომელიც სწერს იმ განზრახვით, რომ ერთ და იმავე დროს მას ყურს დაუგდებს რამოდენიმე მილიონი ადამიანი თავიანთ ბინებზე და სამუშაოებზე.

და თუ მეცნიერულ დარგში გადავალთ, აქაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა რადიოს. წარმოიდგინეთ ერთ დროული თათბირი რამოდენიმე მეცნიერისა, რომელთაგან ერთი ჩიკაგოშია, მეორე იოკოგამაში, მესამე მოსკოვში, მეოთხე ლონდონში და სხვა.? აბა დაფიქრდით რამდენი მოგებაა აქ დროსიც და საშუალებისაც!

თუ რა მნიშვნელობა აქვს კინოს და რადიოს ინფორმაციისა და პროპაგანდისთვის—ეს უკვე მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული. ყველაზე უკეთესად ეს გაიგო რუსეთის რევოლიუციამ.

მართლადაც პროლეტარული ხელოვნება თავის განვითარებაში მიმართული უნდა იყოს კინოსი და რადიოს გზით.

კინო და რადიო გადაიქცევა მომავალი ცივილიზაციის საფუძვლად.

მათში არის კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა.



რატაციონული მანქანა, რომელზედაც ჟურნალი „დროშა" იბეჭდება



# იუმორისტული განყოფილება

## ომი მაროკოში, ანუ ლომი, ხარჩო და დოში

(იგავისებური)

ესპანელები მზად არიან აწარმოონ აბ-დელ-ქერიმთან საზავო მოლაპარაკება, მაგრამ ფრანგები ისევ განაგრძობენ საომარ მოქმედებას; მათ ფიქრიც კი არ სურთ ზავზე.

(1925 წლ. დეპეშებიდან).

ფრანგები მზად არიან ჩამოაგდონ რიფებთან ზავი, მაგრამ ესპანელები ომის განგრძობის მომხრე არიან, სანამ არ უზრუნველჰყოფენ სრულს გამარჯვებას.

(1926 წლ. დეპეშებიდან).

იყო ჩვენში ქაიხოსრო,
მას გაუხმეს თავის კოსრო,
ქალი ჰყავდა გასათხოვი,
რომეც უკვე მონაპოვი,
მხოლოთ მზითევს თავს უყრიდა
და სიმწრის ოფლს მისთვის ჰღვრიდა,
ფეხებს წელებზე იდგამდა:
აღარც სჭამდა, აღარც სვამდა,
კაპიკს კაპიკს აწებებდა
და სამზითვო ნივთებს ჰკრებდა...
რაც რომ ჰქონდა, სულ გაიღო....
მაშ, სახუმრო ხომ არ იყო?
ქალი იყო აზნაური
და იმ ხვედრის საზღაური
შეხვდა სიძეც, მოთავადო!..
სულაც რომ ამოიწვადო,
უნდა შეხვდე ძალაკლულად,
სამარტოძლო დიდოფლურათ
რომ მორთო და რომ მოაწყო,
რომ სასიძო გამოაძლო,
რომ დაუკვრო ხარბი გული,
სამზითვოზე აღგზნებული,
მადლიერი გყავდეს შემდეგ,
რომ პირნათლად ყველგან შეხვდეგ,
რომ არ იგრძნოს შენგან წყენა,
რომ კვლავ შენი ქალის რჩენა
მას არ ჰქონდეს სამადლოდ,
არ უბღვერდეს მუდამ მგლურად,
არას ცნებდეს ჩხუბით ჩუმათ,
რითიც ქორწა-აბრეშუმით,
ჰყავდეს სახლში თავის ტოლად,
ვით შეშვენის, ნამდვილ ცოლად...
ქაიხოსროც ამ ფიქრშია:
არ სწყურია, აღარც შშია,
ოღონდ კი ეს გაარიგოს,
დანარჩენი, რაც გინდ იყოს...
და ჰა, მართლაც მოაგვარა:
მზითევს თავი მოუყარა,
სუფრაც დასდგა საქორწილო,
გამოაკრა კედლებს ტილო,
ზევით ყვავილით გადახურა,
და მოაწყო საამურად
კარ-მიდამო, სახლი, ოდა,
შემდეგ სტუმრებს მოუწოდა,
ვით წესია, ბარათებით,
რომ მათ ხელში მანათებით
ჯიუტელი მხრით მოესიონ,
ქორწილს ასე არ ეწვიონ,
თუ არ ჰქონდეთ მოსალოცი!..
და ბარათი ათას ოცი
დაბეჭდვინა აქეთ-იქით,

ზის და უცდის ქორწილს რიხით
შესაფერი საზამდისით,
რომ, ამებს ვინც კი მისულით,
უნდა დახვდეს მასპინძლურად!..
ხალხმაც აღარ დაიშურა
და დაიწყო მოსვლა, წვევა,
რომ ეზოშიც არ ეტევა!
გაშლილია დიდი სუფრა:
მოდის ლომი, ხარჩო, გუდთა...
წვეულიც ხელთ იკაპიწებს
სხდება და სმა-ჭამას იწყებს...
ბზრიალებენ მსახურები...
საჭმეს ხომ არ უხუმრებენ?!..
ათას კაცზე მეტი სხდება!
ასეთ სუფრას რა გასწვდება?
ხელმომჭირნე ქაიხოსროს
ვინ შეაცდენს, რომ იოხროს?
მცირე პურით, მცირე ღვინით,
სურს გადახდა დიდი ლხინის!
მაგრამ სტუმრებს ეს რას არგებს?
ყველა თვის კერძს აჩანაგებს
და მოითხოვს ახალს ყველა,
გიჩანაგდა მთლად ნაშრომი:
დაილია ქვაბში ლომი,
დიდ ქარდლებში გაწყდა ხარჩო,
არც ბეღელში მოსჩანს სარჩო,
აღარც პური, არც ლავაში!..
ამ საერთო დალევაში
სულ დაიბნენ მსახურები,
თუმცა მოაქვს: ზოგს — პურები,
ზოგსაც — ლომი, ზოგსაც — ხარჩო
ზოგმა ტიკი ჩამოახრჩო
და დასწურა მისგან ღვინო...
აქ როგორ გსურს, რომ ილხინო,
როს ქორწილიც არის სჯერა?!
და დაიწყო ხალხმა მღერა,
და ეს ისეთ სასაუბროთ,
რომ ეს ტირილს ჰგავდა უფრო
ზოგს ჰყვიროდა: „ვაი ქორწილს"!..
ზოგი მოსთქვამს იქვე ცოლ-შვილს,
ვერ იმაგრებს ზოგი სიცილს,
ველარ უძლებს ზოგი სირცხვილს
და იწურავს ჭირის ოფლში,
ზოგი ღვინოს ეძებს ბოთლში,
ზოგი თეფშებს არახინებს
და ზედ ასე დაჭყლოინებს:
„ქაიხოსრო! ქაიხოსრო!
ლომი ქე გვაქვს, ვაი ხორცო"!..
მოდის ხორცი, მონარჩენი,
და ხალხიც, პირ-ანაფრენი,

მიეხვევა იმ ხორცს ხარბათ
და ლომს ატანს ისე ჰარბათ,
რომ ილევა ახლა ლომი!..
სუფრაზე კვლავ სტყდება ომი
და გაისმის ისევ მღერა:
„ქაიხოსრო, შენ გრძელ-წვერა,
სთქვი, გვიყავი ეს რატომა:
ხორცი ქე გვაქვს, ვაი, ლომო"!..
და მორბიან ლომით ხელში
მოკეცილნი ოთხად წელში,
რომ დაიცხრონ ხალხის დრტვინვა...
და გაისმის კვლავ დაცინვა:
„აბა, ჩვენო ქაიხოსრო,
შენ გაგიხმეს თავის კოსრო,
რა გვიყავ ეს ჭამის დროსო;
ლომი ქე გვაქვს, ვაი, ხორცო"!..
და გადიქცა მთელი სუფრა
ამ დამცინავ მწვავე ხმებათ,
ხან ჰყვიროდნენ: „ქაიხოსრო,
ლომი ქე გვაქვს, ვაი, ხორცო"!..
ხან ხორცია, ლომი ჰქრება,
ხალხი ისევ არა სცხრება,
ზის წინ ხორცით, როგორც ლომი
და იძახის: „ვაი ლომი"!..
მოდის ლომი, ჰქრება ხორცი!..
და კვლავ მღერა! კვლავ ხორხოცი:
„ვაი, ხორცი!.. ვაი, ლომი"!..

---

მაროკოშიც არის ომი,
ქაიხოსროს ქორწილს რომ ჰგავს,
სადაც რიფებს ესხმიან თავს:
საფრანგეთი, ესპანეთი...
სჩანს, მათ არ სძულთ ერთმანეთი,
არა ჰხევენ ერთიერთის ტყავს,
რიფებსაც კი აწვდიან ზავს,
მხოლოთ სცემენ მაინც ჯერით
თითო ცდა მიწის ჭერით...
და ვით გვამცნობს ეს იგავი,
აკერიათ პირზე „ზავი"!..
ზავი კი ჰგავს სუფის სარჩოს
ქაიხოსროს ლომს და ხარჩოს!..
მას ხან უწვდის ესპანეთი,
ხან შეიძლევს საფრანგეთი.
მაგრამ რიფებს ეს რას შველის?
ის შემკურე ბრძოლის ველის,
ვით ქორწილში ის წვეული,
კვლავ ომშია ჩათრეული,
რომ შესწყვიროს ლამის თავი:
ზავი აქვს და... „ვაი, ზავი"!..

ონისიმე.

# ძაღლის თავი...

**ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს!**

ანდაზა.

შუბლშეკრული კაცი გაბრიელ პორთფელით მიადგა პეტრეს და ცივად უთხრა:

— ბოდიშ უხდი.... მაგრამ...

— მობრძანდით,—მხიარულად მიეგება პეტრე— რით შემიძლიან გემსახუროთ?

— მე ვარ ფინინსპექტორი მეოთხე უბნის!

თავი გააცნო უცნობმა და თან დაუმატა:

— თქვენზე დარჩენილია გადასახადი და გადასახადის ჯარიმა...

— რას მიბრძანებთ! ღმერთო ჩემო!—თითუბის მტვრევით უთხრა პეტრემ—და მერე რა ძვირფასი სტუმარი... რამდენი ხანია.... თვე... წელიწადი... მიხარიან, რომ ეხლა გხედავ—ეი! მართა! დაუძახა მეორე ოთახში;—არ გესმის! ჩქარა! სუფრა... ღვინო!...

— უკაცრავად...—უხერხულობა იგრძნო ფინინსპექტორმა:—მოველ რომ გადაგახ....

— რას ბრძანებთ! რას ბრძანებთ!.. ეუბნებოდა პეტრე და სახე უფრო უბრწყინდებოდა.

— საქმე, საქმეა, არ გაგექცევა! გთხოვთ ცოტა შეენაყრდეთ. მცირეზე არ დამძრახავთ... მაგრამ ღვინო მაქვს რომ... რომ...

ფინინსპექტორი უფრო გაწილთდა და შემდეგ მკაცრად უთხრა:

— საქმეზე ვარ! სრულიად ოფიციალურად მოგახსენებთ, უნდა გადაგახდევინოთ!

— ჩემო ძვირფასო!—შეიშმუშნა პეტრე—განა არ მესმის, გავიგე! რასაკვირველია, საქმის დროა... მაგრამ რასაც შევჭამთ ჩვენია... ხა, ხა, ხა!

— თქვენზე ირიცხება 162 მ. 84 კ. და, რადგან რამოდენიმე გაფრთხილების შემდეგ ეს არ გადაიხადეთ,— უნდა ავწეროთ!

— ძვირფასო, გნდათ ასწეროთ? სიამოვნებით...

— იქნებ გადაიხდით, მაშინ საქმეს მოვსპობ.

— რას ბრძანებთ, სად შემიძლიან... გადახდა!

— მაშ შევუდგეთ და ავსწეროთ ავეჯეულობა!

პეტრემ გაიღიმა, სახე ისე უჩვენა, რომ ის წინააღმდეგი არ იყო, ხელითაც ანიშნა:

— გთხოვთ, შეუდგეთ!

— მაშ დავიწყოთ ამ პიანინოდან!

— პიანინოდან?

პეტრეს აზრმა გაურბინა და ცბიერი ღიმილი შეაპარა.

— ჰო, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ პიანინო ქირით მაქვს წამოღებული და აი, პირობაც...

— ეს სურათი? აი, ოქროს ჩარჩოები, რომ არის!

— ეგ რა სურათია! სარეკლამო პლაკატია! შაურიც არ ღირს!

— მაშ თქვენს ჯამაგირს ყადაღა უნდა დავადო.

— ჯამაგირს? ხითხითებდა პეტრე. რის ჯამაგირი?! სამი თვეა „სოკრაშჩენიაში“ მომაყოლეს.

— მაშ არაფერი გაქვთ, რომ რაიმე ღირებულებას წარმოადგენდეს?

პეტრე ჩაფიქრდა და შემდეგ გახარებულმა უთხრა:

— როგორ არა! მყავს ძაღლი! დობერმან-პინჩერ!

— ძაღლი? გაებრაზა ფინინსპექტორს. ძაღლი რა ღირებულებას წარმოადგენს?

— რას მიბრძანებთ! ამას წინად ოქროს მენდალი მიიღო. სამას მანეთს მაძლევდენ, მაგრამ არ მივეც.

— ძალიან კარგი! ცლმოჩნდა.—სთქვა ფინინსპექტორმა—აბა, შეუდექ საქმეს!

— ეხლავ! დაეთანხმა პეტრეც. შეუდგეთ საქმეს. თან მართას გასძახა:

— მართა! სად არის მარსი?

— წასულია!

— როგორ თუ წასული!

— სეირნობს.

პეტრე მიუბრუნდა ფინინსპექტორს:

— ჰო, მაცოონს აკეთებს, უკაცრავად კი არ ეიყო და სხვა ძაღლებთან,.. ჩემი ხვადია! ხუთიოდე წუთი მოცდა მოგიხდებათ!

— დაველცდი! სთქვა ფინინსპექტორმა, მაგიდასთან ჩამოჯდა და უბრალოდ თვალების ცეცება დაიწყო.

ხუთი წუთის მაგიერ, ერთს საათს იცდიდა.

მაგიდა გაიშალა.

ჭიქები აწკარუნდა.

სვამდნენ სადღეგრძელოებს.

ტკბილ მუსაიფს დასასრული აღარ ჰქონდა.

კარგად გამოიბრუჯნენ და, როდესაც ფინინსპექტორმა წასვლა დააპირა და ხელი გაუწოდა, ხელში ქაღალდის ნაჭერი მოხვდა.

— ეგ ისე, ეტლით მობრძანდით, ჩემს „სროტში!“

ფინინსპექტორი მიდიოდა მხიარული, თვალებ აპრეღებული, მაგრამ ძაღლი კი თან არ მისდევდა.

რა იქნა ძაღლი?!

ძაღლი კი სახლში მოვიდა, მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან იყო ჩამარხული!

ბანდურა.

# ბედის ჩერია

## ანუ პილსუდსკის „ჯორი“

რემბერტოვიდან—
ვარშავა, პრაგა...
პილსუდსკიმ ჯარი
გადაალაგა!
სალამოს იწყო
ეს მკაცრი მისვლა
და ღამის ათზე
გადევიდა ვისლა.
ღამის თორმეტით
მთელი ვარშავა.
ცილით პილსუდსკის
ხელში გადავა.
ასე გარდახდა
გადასახედი:
პილსუდსკიმ ვიტოსს
აწირა ქედი!
და აწ პოლონეთს
პილსუდსკის ხელი
განაგებს, მხნე და
განუსაზღვრელი!
ამბობენ, და ეს
არ არის ჭორი,
რომ აქ მოქმედობს
გარეშე „ჯორი“!
და თუ არ ისვრის

## „ვირის ჩრდილში"

მეგობრული შარჟი



პატივცემულ
ამა წყვილში
ისე, როგორც
„ვირის ჩრდილში",
„ტარტაროზმა"
თუ ინება,
მეც ვიფიქრე
გაცინება!..

აშკარად ტლინკებს,
თავზე კი აყრის
ბლომად სტერლინგებს!..
მიზანი ერთი
არის აშკარა:
თუ რომ გასწყვიტოს
ჯორმა ავშარა,
მჯედარმაც თავი
ვერ შეუკავოს
და გაიტაცოს
ის სასაკლაოს!..
რადგანაც ბრუნავს
ბედის ჩარხი
და მას სხვა ბოლო
არ უწერია!..

მლაჰ!

## როგორ მივაღწიე მიზანს?

### მიზნის დასახვა

„ნუ თუ ასე იდილიურად უნდა ჩავატარო ჩემი სიცოცხლე სამარის კარამდე", ვფიქრობდი მე ხშირად. „არა, ასე არ შეიძლება" გადავსწყვიტე მე ერთს დღეს,—„უნდა დავისახო რაიმე მიზანი, რომელიც სიახლეს შეიტანს ჩემი ცხოვრების ერთფეროვნებაში. მაგრამ რა მიზანი დავისახო? ბევრი ვიმტვრიე თავი მის გადასაწყვეტად, სანამ ის თვითონ თავისით არ გადაწყდა. ერთ დღეს გავშალე გაზეთი და უცბად თვალი მოვკარ ვილაცას სურათს. ქვეშ ეწერა: „გლეხი ფილიმონი კურდღელიშვილი, სოფ. ურუხის გლეხკომის თავმჯდომარე". ვიცანი ფილიმონი. ნეტავი რა დაიმსახურა ისეთი? გავიფიქრე მე და მოულოდნელად შურით ავივსე. მე კი, მე რაღა დამემართა. არამც თუ ჩემი სურათი, ჩემი გვარიც კი არავის უნახავს გაზეთის ფურცლებზე. არა, ეს დაუშვებელია. მე, მიხეილ ჰქუათხელიძემ, როგორც დაწინაურებულმა, უნდა ვასახელო და ავამაღლო ჰქუათხელიძეთა გვარეულობა.

მეორე დღეს დაწესებულებაში გვქონდა საერთო კრება. ახალი ადგილკომის, რევიზკომის და სხვა „კომ"-ების ასარჩევად. მთელი მოხსენების და კამათის დროს ერთი კრინტიც არ დამიძრავს. ბევრის თქმა მინდოდა, მაგრამ ან არ ვბედავდი, ან ჩემ აზრს სხვა იტყოდა.

ვიღაცას მოეწონა, ალბად, ჩემი დუმილი და კანდიდატად დამასახელა. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა სია ახალ ადგილკომში ასარჩევ კანდიდატებისა და თვალივით ტკბილი ხმით მიმართა კრებას: ვინა ხართ ამ სიის მომხრე?

მე ხელი არ ამიწევია: „რა ვიცი, ვინა ხართ, საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ", გავიფიქრე მე. „ვინა ხართ წინააღმდეგი?" რისხიანად დაიჭექა თავმჯდომარემ. „ჯერ ჩვკის ბადვადები არ მომნატრებია", ვსთქვი მე ჩემთვის და ხელიც არ ამიწევია.

— ვინ შეიკავა თავი? ინდიფერენტულად წარმოსთქვა თავმჯდომარემ. არც ახლა ამიწევია ხელი: ერთი აგარაკზე გამგზავნე, მომცველ ზაფხულს, მაშინ ნახავ თავს შევიკავებ, თუ არა,—გავიფიქრე ისევ მე.

— „თქვენ, ამხ. ჰქუათხელიძევ! რა ჯიშისა ხართ?" მიმმართა მე თავ-რემ,—„არც მომხრე ხართ, არც წინააღმდეგი და არც თავი შეგიკავებიათ". აუცილებელი იყო პასუხის გაცემა.

— ეს იმისათვის მომივიდა, ბატო... უკაცრავად, ამხანაგო თავ-რე, რომ სადღაც კულტკომში, თუ შეფკომში მეცამეტე კანდიდატად ვიყავი დასახელებული. რატომ მაინცდამაინც მე შემნიშნეთ; აი, იქ ამხ. ყურგძელიძემ სამივეჯერ ასწია ხელი: გამოდის, რომ მომხრეც არის, წინააღმდეგიც და თავიც შეიკავა. ერთი მაგის ჯიშიანობაც მოიკითხეთ!" შეიქნა სიცილი.

ეს ჩემი სიტყვები საკმაო შეიქნა, რომ ეფიქრნათ ჩემზე: ამხ. ჰქუათხელიძეს რაკი ლაპარაკის უნარი შქონია, საქმესაც შესძლებსო—და რევიზკომში მიკრეს თავი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიხაროდა, რომ ასე ადვილად მივაღწიე მიზანს. ხვალ, ან ზეგ გაზეთში დაიბეჭდება ჩვენი სხდომის ოქმი, სადაც იქნება აღნიშნული ადგილკომის რევიზკომათ მიხეილ ჰქუათხელიძე, დიახ... მიხეილ ჰქუათხელიძე.

გავიდა ერთი თვე. მაგრამ გაზეთებში არაფერი იწერებოდა ჩვენი კრების შესახებ.

რა კი იმ კრებაზე არ აღმოჩნდა არცერთი გლეხკომი, მუშკორი, ახკორი, სამხკორი, ან ვინმე კიდევ „კო-კორი", მე თვითონ ავიღებ ხელში კალამს, დავსწერ სხდომის შესახებ და გავუგზავნი რედაქციას, ვსთქვი მე. თქმა და შესრულება ერთი იყო. განსაკუთრებით შევეხე ჩემს არჩევას. ფსევდონიმათ მოვაწერე უ-პე-ფუ.

რამოდენიმე დღის შემდეგ, გაზეთის ფოსტაში ამოვიკითხე:

„უ-პე-ფუს. წერილი დაგვიანების გამო, არ წავა.

ბევრი ვინანე, რატომ ჩემი საკუთარი სახელი და გვარი არ მოვაწერე მეთქი—ფოსტაში მაინც ამოვიკითხავდი".

ვსთქვი ეს და უცბად მეორე წერილი დავწერე ისეთი შინაარსისა, რომ წინდაწინ ვიცოდი, არ დაიბეჭდებოდა. ქვეშ სრული სახელი და გვარი მოვაწერე. შემდეგ დღეებში დავაკვირდი გაზეთის ფოსტას. წარმოიდგინეთ გაოცება, როდესაც წერილი ძლიერ შეცვლილი ვნახე ერთ-ერთ გვერდზე—შემდეგი სათაურით: მოსპეთ უსუფთაობა და სიბნელე ზურგიელიძის ქუჩაზე. ქვეშ აწერდა ხელს მუშკორი უხილავი.

კიდევ ქვევით ჩემი ყურადღება მიიპყრო მეორე წერილმა, რომელიც ეხებოდა ჩვენს დაწესებულებას. წერილის სათაური იყო: ადგილკომს სძინავს, რევიზკომი ხვრინავს. ხელს აწერდა ახკორი გაგალევიძე.

აბა, შენ იცი, თუ გაადვიძებ—გავიფიქრე მე და ისევ პირველ წერილს დავუბრუნდი.

გულმოსული ვიყავი, რისთვის არ მოაწერა რედაქციამ სრულად ჩემი სახელი და გვარი.

მეორე დღეს გაზეთში ამოვიკითხე: გაცნობებთ, რომ მუშკორ უხილავის წერილი სინამდვილეს არ შეეფერება. ადმინისტრატიული განყოფილება.

ესეც შენ, ვინცა ხარ, უხილავო! და გულში მადლობა ვუძღვენი რედაქციას, რომ სახელი და გვარი არ მოუწერია.

### სამგლოვიარო განცხადება

გაზეთის უკანასკნელი გვერდი ყოველთვის იყო აჭრელებული სამგლოვიარო განცხადებებით. რაღაც იმედი მომეცა. ნუ თუ მართლა ჩემს ამოდენა ნათესავებში ერთიც არ უნდა მოკვდეს, მაშინ როდესაც სხვების ბუზებსავით იხოცებიან? სამგლოვიარო განცხადებას ხომ მაინც დავსწერდი. გამახსენდა, ერთი კვირის წინ მამაჩემმა შემატყობინა, რომ ნათლია ჩემი ავად არის და მორჩენის იმედი არ არისო. მაშინვე ვსტაცე ხელი კალამს და დავსწერე შემდეგი განცხადება: „გულმოკლული მიხეილ ჰქუათხელიძე ამით აცნობებს ყველას, რომ გარდაიცვალა მისთვის ძვირფასი თერაპონტე ანაპოლისტესძე ბაქიბუქიძე". მაგრამ სამწუხაროდ ბაქიბუქიძე მორჩა და ახლაც მშვენივრად გრძნობს თავს.

ამნაირად ყველა ჩემი მეცადინეობა და საშუალებები მიზნის მისაღწევად გასაცვლელები... მეღწია მიზანს, მარცხით დამთავრდნენ. დავეძებდი ფარ-ხმალი და ჯავრი ცოლზე ვიყარე. პირველად ჩემ სიცოცხლეში რამოდენიმე ცუდი სიტყვა ვუთხარი მას.

გადავსწყვიტე ხელში არ ამეღო გაზეთი და მისი გამოწერაც შევწყვიტე. რამოდენიმე დღის შემდეგ, ჩემმა ხიმამრმა მიმითითა გაზეთის ერთ ადგილზე, თანაც იცინოდა. ავიღე ხელში გაზეთი და წავიკითხე შემდეგი: „აღაგმეთ ეს ბოროტი კაცი" ზურგიელიძის ქუჩაზე მცხოვრები მ. ჰ—ძე საშინლად ავიწროებს თავის ცოლშვილს და გაგდებით ემუქრება მათ. აღაგმეთ ეს ბოროტი კაცი. მუშკორი ტანჯული.

მაგრამ მაინც ეს პირველ მარცხადაც მივიჩნიე.

ამის შემდეგ მეორე მარცხამაც არ დააყოვნა მოსვლა. ერთ მშვენიერ დღეს, ქუჩის ერთ მხრიდან მეორეზე გადასვლის დროს, მომესმა უცბად: „ბერეგის" და იმავე წუთში ბრრახ!.. თვალები დამიბნელდა, ძირს დავეცი, რაღაცამ ზედ გადამიარა. მალე მოვეგე გონს. ჯაგლაგ ცხენიანი ეტლი დამჯახებოდა. ხალხი მოგროვილიყო. ჩემთან მივიდა ერთი შორეული ნაცნობი, დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, თან უბის წიგნაკში იწერდა რაღაცას. მე ვუთხარი: რას იწერ მაგ წიგნაკში? მან მიპასუხა: მე გაზეთის ქრონიკიორი ვარ, ეს შემთხვევა გაზეთში უნდა მოვათავსოთო". უცბად სახე გამიბრწყინდა, მადლობელი ვიქნები ძალიან, მხოლოდ გთხოვთ ეტლი არ აღნიშნოთ... სირცხვილია... თავი მომეჭრება... 20 წელიწადია ქალაქში ეტლით ვცხოვრობ და ასეთი ხიფათი არ შემხვე-

### ფაშისტური ცხვირის მწარე წარსულიდან



დავუვიანდა ეს სურათი
დავაგვიანდით რადგან ჩვენა:
ჰქონდა ცხვირით მუსოლინსა
ძმარისა და სისხლის დენა!..

დრია... ავტომობილი მაინც დამჯახებოდა. თქვენ ასე დასწერეთ— ავტომობილი დაეჯახა და...

— კარგი—კარგი—მომიჭრა მან—ამას მოვაწესრიგებთ და გამშორდა.

მეხამე დღეს გაზეთში ამოვიკითხე: „გუშინწინ, საღამოს 6 საათზე მოქ. მიხეილ ქკუათხელიძე", ქკუათხელიძე... სწორედ სწერია... „ჩამოვარდა" რით, ჩამოვარდათ „ჩამოვარდა მეხამე სართულიდან და სასიკვდილოდ დაშავდა". ქე არ მოეწესრიგებია? ისე მოეწესრიგებინოს ჩან-ძო-ლინს თავის საქმე, როგორც წენ ეს მოგიწესრიგებია.

ქვევით წავიკითხე: „იმავ საღამოს, მკრტჩიანცის ჯაგლაგ ცხენიანმა ავტომობილმა გაიტანა მოქ. ნადეჟდა პროშჩაევა და მსუბუქად დააშავა".

„ავერია დავთარით" რომ იტყვიან, სწორედ ისე დამართნია ამ ქრონიკორს!

მე მაინც მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს მივაღწიე მიზანს და გამოვიჭიმე გაზეთის ფურცლებზე ქკუათხელიძეთა საამაყოდ.

ამნაირად მიზანი მიღწეულად მიმაჩნია, რომ მეორე, თუ მეხამე დღეს მივიღე დეპეშა-დეპეშაზე: როგორ არის მიშა, მიედივართ იწერებოდენ ნათესავები, რომელთაც წაეკითხათ გაზეთში ჩემი გმირული, დასახელებული და უკვდამყოფელი ამბავი.

„ახლა-კი დავილუპე" გავიფიქრე მე: „თუ ეს ლაშქარი ჩამოვიდა, განადგურდება ჩემი ოჯახი". უმალ გაუგზავნე ყველას პასუხი: კარგად ვარ, ნუ შესწუხდებით. ეტყობა, პასუხმა არ გასჭრა. მეორე დღეს გამოჩნდენ მზვერავები, მას მიხდევდა მთელი ლაშქარი. უმალ მოვაწყვეთ თავდაცვის საბჭო. კაბელ მეცენახე-მედუქნეთა ამხანაგობამ გამოწია დახმარება თავისი ზაზუნის წვენით გაჭენილ „ჟუმბარებით". დიდი ენერგიის გამოჩენა და ძარღვების დაჭიმვა დაგვჭირდა, რომ მოზღვავებულ მტრებისათვის ბრძოლის ასპარეზი დაგვეცარიელებინა. როგორც იქნა მოპირდაპირე ეიძულეთ მოეწერა ხელი ვერსალის ზავზე.

როგორც მოსალოდნელი იყო ვერსალის ზავმა, შიგ ჩვენ ოჯახში გამოიწვია უთანხმოება. „ეს სულ შენი ნათესავებია", ღვარძლიანად ვუთხარი მე ჩემს ცოლს. „არა, შენია", მიპასუხა მან: სულ მუქთახორები არიან, როგორც შენ". რათ, დავიყვირე მე მოთმინებიდან გამოსულმა და ის იყო მეხი და გრგვინვა უნდა დამეყარა ცოლზე, რომ უცბად მომაგონდა მუშკარი „ტანჯული" და გადავსწყვიტე ჩუმად გამეთავებია საქმე. აღელვებულ გრძნობების გავლენით დავსწერე განცხადება ცოლთან გაყრის შესახებ და შევიტანე სახალხო სასამართლოში.

საქმის გარჩევას დაესწრო ბევრი „საქმიანი" ხალხი. ჩემს ცოლს პირისახეზე მიფარებული ჰქონდა ცხვირსახოცი და ჩუმად ქვითინებდა.

— რას იტყვით, თქვენ ამს. ქკუათხელიძე! მომმართა მე სახალხო მოსამართლემ. ყველა შემომჩერებია.

— „რაც მომივიდა, სისულელით მომივიდა", მივუგე მე, უკან მომაქვს ჩემი განცხადება".

ჩემმა ცოლმა მწუხარების ქვითინი სიხარულის ტირილად შესცვალა და მომეხვია. ჩვენს ოჯახში „ლოკარნოს სული"-ს დატრიალებამ გამოიწვია დამსწრეებში ერთსულოვანი ტაში.

ამნაირად დავიჭირე ერთად ორი კურდღელი: ერთი ის, რომ ცოლი დავიბრუნე, მეორე კი... ხომ მოიხსენიებენ ჩემს დიდსულოვნობას ქება-დიდებით გაზეთების ფურცლებზე.

ერთი კვირის შემდეგ, მთელი საქართველო კითხულობდა გაზეთში შემდეგ ამბავს:

### „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა

მოქ. მიხეილ ქკუათხელიძე ნელ-ნელა მიდიოდა ვერის დაღმართზე და რაღაც ფიქრებში ღრმად იყო გართული. იგი შეჩერდა ვერის ხიდზე, გადახედა ვნებიანად მილაზღაზე მდინარეს, ელექტრო სინათლით ათასნაირად აფერადებულ ქალაქს და... ღრმად ამოიოხრა. სამწუხაროა, ჩაიფიქრა მან, ქვეყანა ასეთი მშვენიერია, ყველგან სილამაზეა; თინიკო? თინიკო კი ყველაზე უფმშვენიერესი ქმნილებაა ამ ქვეყნად და ამ დროს კი სახლში გყავს ბებრუხუნა ცოლი. არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. მას შემდეგ, რაც თინიკო გავიცანი, განა, დამედგომება ჩემს მახინჯ ცოლთან?

გაყრა, გაყრა! უკვე ხმა მაღლა წარმოსთქვა მან და სახლისაკენ ნაბიჯებს მოუჩქარა.

მაგრამ სასიხარულოდ და სანუგეშებლად ყველა ცოლებისა, მოქ. ქკუათხელიძის კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: სასამართლო მიხვდა მის ბავშვივით უსუსურ არგუმენტაციებს და გაყრაზე უარი უთხრა.

ზის ახლა მოქ. ქკუათხელიძე თავის მახინჯ და ბებრუხუნა ცოლთან და, ალბად, იღრინება.

ღმერთო, მისი სატიკტიკებელი ჩაუშავე ეს ვიღაც ტიკტიკაა!.. წარმოსთქვა გულმოსულმა ცოლმა.

„წერილში სამჯერ არის მოყვანილი ჩემი გვარი", გავიფიქრე მე, ეს ხომ 100 პროცენტით მიღწევაა მიზნისა.

ბედნიერებაა, მაგრამ... ეს თინიკო ვინღა არის, ან ვერის ხიდი აქ რა შუაშია?!

ამის შემდეგ, გაგვიჩნდა ახალი საზრუნავი: ტიკტიკას აღმოჩენა.

ცოლი ეძებს მას ჯავრის ამოსაყრელად.

მე კი... მას—მადლობის გამოსაცხადებლად... და თინიკოს გასაცნობად...

**ქენტი.**

---

## მოსამსახურე ქალის ბედნიერება

### მ. ზოშჩენკოდან.

მოსამსახურე ქალები ამ დროებაში ბედნიერები არიან. სულ და გადმოლის მათი ცხოვრება.

სხვები რომ არ ჩამოვთვალო, ჩვენი ნაცნობი ნუშო—ის ემზადკი—რომ იცოდე, როგორ გამდიდრდა!

თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ თავის სიმდიდრეს მალე ვერ მიაგნო, თანდათან გაერკვია და გამოც გაიგო თავდაპირველად-კი ძლიერ შეეშინდა.

იანვარში თავზრუ დაესხა, გუნება ეერია. გუნება იერია თანვარში, ხოლო თებერვალში ჩვენი ნაცნობი ნუშო ქმრისგან გაიქცა უფასო ტარიგების მისაღებად, რომ გაეგო გული რად იერია, ძლიერ ხომ არ გაძლო?

ექიმმა „ტროიკა" მიურაკუნა ჩვენს მეზობელ ნუშოს და უთხრა, რომ შეიძი თვის ორსული ხარო!

ნაცნობი ნუშო დაიბნა, დავთრები დაეკარგა. ყოველ შემთხვევაში ექიმებთან არც გონება დატოვა და არც უხსოვნია. წავიდა უსიტყვოდ.

მოვიდა შინ როგორც ბალში გათეთრებული. ჩამოჯდა დაბალ სკამზე, დაიწყო ჯავრობა და ჩხუბი მეზობლებთან.

— დუნიაზე რა ხდება, მოქალაქენო! ეხლა ვინღა ამიყვანს მოსამსახურეთ? არ შეხედავთ ჩემს გარეგნობაში? რომ დამჭირდეს სარეცხის დარეცხვა ან იატაკის გაწმენდა, და სწორედ ამ დროს რომ ბავშვმა თავი გამოყოს...

ზის და ფიქრობს ნაცნობი ნუშო. ირგვის ყურს არ უგდებს.

მეზობლები ეუბნებიან:

— ქალო, ტირილი რაღას გიშველის, ეგ, პირიქით, დიდი ბედნიერებაა შენი სილარიბისათვის. ამ დროებაში მცირე, მაგრამ უტყუარი თანხა შევგიძენია, მაინც ეინ იყო, რომ გაეთამაშე?

ნაცნობი ნუშო აცრემლებული ეპასუხებს:

— ერთი სიტყვით, მოქალაქენო, ვისზე გითხრათ? ან მეეზოვე იქნებოდა, ან მედუქნე, ან და მზარეული!

მეზობლები ამშვიდებენ:

მიდიუქნის ჩასჭიდე ხელი. ის ვეჭრობს და აბადია კიდეც. დევში სამასს მანეთს აკეთებს, დაე, ასი შენ მოგცეს და ორასი თუნდა დარდისაგან სირთათეებში ფლანგოს.

ნუშოს გაუხარდა და იმ საღამოს სიხარულისაგან დაშაქრული დალია. შემდეგ განაგრძო:

— ეხლა ვნანობ მოქალაქენო, რომ ეს ხერხი წინად არ ვიცოდი. აქამდე ხომ უზრუნველყოფილი ვიცხოვრებდი!

ასე გამდიდრდა ნაცნობი ნუშო. ასი მანეთი თვეში! ამდენს სპეციალისტიც არ იღებენ! ყოველ თვიურად ხვეტავს და ხვეტავს უროგო არის?

X

## პატარა „მახეს“

.. დამალე სახე,
თვალ გადირჩევი გვარი
და სანადიროდ „მახე“
დააგე ეგზომ მძლავრი.

—:—

ნანადირევი შენი,
არის ადამის მოდგმა.
(დათვლილიც არის დღენი,
თუ მახეს ვინმე მოჰყვა)...

—:—

და ჰა, მოედენი კიდევ
ჩამოდენიმე წყვილსა,
შენ ქაღით ხელში იდექ,
დაჰკა და დასცი ძირსა!..

—:—

...ნი სოფელი წევა—,
...ორაპნის თემის წევრი.
(მახსოვს აკვანის რწევა
და სიხალისე ბევრი)

—:—

ქოხ-სამკითხველო ქონდა
პოლიტგანის ნაზოძვარი,
გაზეთიც მოდიოდა,
სულ სამიოდე ცალი...

—:—

სოფელში ხალისობდნენ,
რომ სამკითხველო გვაქვსო—.
(მაზრაში სულ სხვას ბჭობდნენ,
ოი, ცხოვრებავ ნელსო!..)

—:—

პოლიტგანიდან არვის
უნახავს ჩვენი წევა,
მაგრამ ჯვარი კი შავი—,
წევასაც დაეწევა!..

—:—

და ცხრა თვის შემდეგ უცბად
დაკეტეს სამკითხველო,
(ვინ იმუშავებს მუქთად,
მითხარით, ერთი, ჩემო?!.)

—:—

და ეს სოფელი ასე..
რევოლიუციის კერა.
შკაფი წიგნებით სავსე—
თანდათან დაიმტვერა!..

—:—

კოოპერატივიც ერთ დროს,
გახსნეს შორაპნის თანხით.
ნოქარი იყო სერგო
და კმაყოფილი ხალხი...

—:—

მაგრამ საქონელს მისცეს
ისეთი დიდი ფასი,
რომ მყიდველს ხარჯის სიცხე
უვარდებოდა თავში...

—:—

ეს ორი მესამე ხომ
ქვიტკირის სკოლა არი!..
(კარგა ხანია, ვესომ
რაც რომ დალია მტკვარი!..)

—:—

მასწავლებელთა კადრი
არ არის მეტი ორის
და გამგეს სკოლის დარდი
არა აქვს, თქმა სჯობს სწორის!..

—:—

მუშები ჩალეწილი.
ზაფხულზე მყუდრო ბინა...
(მასაც აქვს ერთი წილი,
თუ გაითვალისწინა...)

—:—

ამ სამ მახეში ეგზავნი,
ძვირფასო ჩემო წევა!
სიმართლე სიმტყუნესა
ურმითაც დაეწევა!..

მელა-კუდა.

## საღამო ჯუმათში

(სურათი)

სურნელებას აკმევს საღამო წყნარი,
სხივები ამბორით შორდება ქედებს...
ორქლმავალს ელიან, ჩამოჰკრეს ზარი.
ბაქანი ვერ იტევს გულღია მტრედებს!..
მადონა გაილებს სართულის სარკმელს,
დაჯდება, დაიწყებს წარმტაცად ციმციმს...
ყმაწვილს გულის ვარდს გაუმხელს სათქმელს,
დარბაზის კუნჭულში ატეხენ სიცილს...
ღამდება. დარაჯი ანთებს ფარნებს...
(ტრიკტუარს გაივლის ზვიადათ თხებიც).
ზარხოში ვანუა უყვებს ფარნებს,
სალაუბო დუქნიდან მოისმის ხმები...
ნიტრაფო აცილებს ხიდამდე თამარს,
თამარიც თავაზობს იების კონას;
გალეშილ გოგიას მოპარეს ქამარს;
ლაიკა აზოდებს ბარგების მწონავს...
„საფოსტო“ კივილით იდგება სადგურს,
სიგნალი წასვლისა, ჩამოჰკრეს ზარი.
ქლასები მგზავრებით შორდება დამხთურთ,
ნელ-ნელა იშლება საღამოს ჯარი!..

პილიგრიმი.

## ნიანგს გათომიდან

დგას მშვენიერი დარი,
ნიავი არსით არ ქრის.
ავტო, ეტლი, რონოდა,
აქეთ-იქეთ სულ დაქრის,
მუშაობს ყველა რიგზე
ჯავრი გვქონდეს ჩვენ რისა?
იქნებ ზარალი „ეპოხ“
ოცდა ოთხ ათასისა?!
ეს დიდი მიღწევაა...
არ ეთქმის საყვედური,
ამისთვის მის მმართველებს
მე სულაც არ ვემდური.
შემოდის აქ მოდაში,
ქეიფი რა ქართული,
სიმღერასა და ყვირილს,
სროლაც აქვს ზედ დართული.
ბანკეტებს მცირე-მცირეს
ერთმანეთს უმართავენ,
და თუ გაამხელ, მაშინ
„სხვა ზომებს“ მიმართავენ.
ბევრს უკვე მოხვდა ცოცხი,
ბევრსაც მოხვდება მალე,
ანგარიშს წარმოგიდგენ,
თუ კი რომ დავითვალე?..

ბლიკვი.

## ნიგვზიანი

..ო, როგორ მინდა გკითხო,
მაგრამ არ ვიცი ვისა!
ექიმი რათა ფლიდობს,
რად არის ცუდი ზნისა?!.
მრავალი არის ხმები
მასზედ სხვა და სხვა გვარი
და არის, თუ არ ვცდები,
მოსიყვარულე ფარის![1])
მაგრამ ასეა ყველა,
პასუხად ისმის: „ვერა,
კაცს უყვარს მუდამ ფული,

¹) ფარა—ფული.

გაწმენდილი მაქვს ჯიბე
წინ თუ არ მომეც ქირა,
მე ვერ გაგყვები ზიჯზე.
ქალს თინ არ ჰქონდა ფული,
რითაც შეწუხდა მეტად.
აყუჩებული გულით
უკან დაბრუნდა ქენტად.
ასეა, ამ ჩვენს ექიმს
თუ არ მიეცი ფული,
არ გამოგიწერს წამალს

მხოლოდ იმას აქვს წყალობა,
ვისიც არ ძლება გული!..
მითხრეს: სამშაბათს დილით,
როს დაირეკა ათი,
ექიმი გაძლა ძილით
...ებს იფშვნეტდა თათით.
მუნ იდგა თანაშემწე
ექიმის, მეტად თინჯიად
და ორი ავადმყოფი
მოსულნი გასასინჯად.
ამ დროს შეიქნა სიცილაც
კივილი, მეტად მწარე:
მიშველეთ, კვდება კაცი,
ექიმო, მოგვეხმარე!..
და, ვიღაც მორბის ქალი
გაფითრებული სახით
თმები აქვს გაწეწილი,
მორბის და მოიძახის:
„ექიმო, დაგვეხმარე“
გთხოვ ავადმყოფთან მალე,
მეზობელი ვარ მისი;
წამოდი, დაგვავალე!

ჩახუნდარიძე.

21/200

ჟურნალი „დროშა“ ურიგდება უფასოდ

# „დროშა“

„კომუნისტი“-ს ყველა ხელისმომწერლებს

... 10 000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამო